ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 6 აპრილი, 2018 №81 (7626) ფასი: 50 თეთრი

ნანა დევდარიანი: „სააკაშვილი დაბრუნდება, თუ „ოცნებას“ გაურიგდება“



გვ.2

5 აპრილიდან

150 ამბავი ნობელიანტი ფიზიკოსები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



# ტყიბულში, მინდელის მაღაროში, 6 ადამიანი დაიღუპა



გვ.3



გვ.2

## თამარ მეარაყიშვილი: „ჩემი სიცოცხლე საფრთხეშია“

„რამე რომ მომივიდეს, ჩემს დაკრძალვაზეც მოვლენ და სელფებს გადაიღებენ. შეიძლება, გმირადაც გამომაცხადონ, ცოცხალი არავის ვაინტერესებ“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „თბილისი, ჭიათურა, ტყიბული, კაზრეთი და ზესტაფონი ეკოლოგიური უბედურების ზონებია“



გვ.3

„ხელისუფლება ხალხს შრომით და ეკოლოგიურ გენოციდს უწყობს“

## გიორგი კახიანი: „გედი ფოფხაძე ჩვენთან დარჩება“





გვ.4

## გარევაჭრობაზე ჯარიმები იზრდება



გვ.5

სამართალი გვ.7



## ნათია მეზვრიშვილი: „სკოლაში პოლიცია არ შედის“



## მორაგბე გიორგი ლომინაძე: „სულ ერთად ვართ და მერაბ კვირიკაშვილს ჩქარა არასდროს უვლია“



## მოზარდების მკვლელობა — ერთ-ერთ მოწმეს მოკლულთან მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა

ეკონომიკა გვ.6

## ირაკლი კოვზანაძე: „მაკროეკონომიკური მაჩვენებლები ადასტურებს, რომ სწორი გზით მივდივართ“



## საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი ტვირთმფლობელებისთვის მიმზიდველი აღარ არის



## პრემიერის ახალი ინიციატივა განსაკუთრებით ირანელ და თურქ ინვესტორებს მოიზიდავს



ISSN 1987-9385

**5** სამუშაო ადგილებზე მომხდარ უბედურ შემთხვევებზე სასამართლომ პატიმრობა მხოლოდ 3 ფაქტზე გამოიყენა

**4** მთავრობამ ვანო მერაბიშვილის საქმეზე სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისთვის 5 ათასი ევრო გამოყო

**5** პაატა კოღუაშვილი: „პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ სოფლის მეურნეობისათვის მიუღებელია“

**4** ბოლნისის მუნიციპალიტეტში ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების ფაქტი გამოვლინდა

# ნანა დევდარიანი: „სააკაშვილი დაბრუნდება, თუ „ოცნებას“ გაურიგდება“

ნონა ცაბაძე



„ახალი თაობის“ კითხვებს გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი **ნანა დევდარიანი** პასუხობს.

***– ქალბატონო ნანა, საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდში ნინია კაკაბაძის არჩევას სერიოზული უკმაყოფილება მოჰყვა „ოცნების“ შიგნით. რას იტყვით ამ ყველაფერზე?***

– ეს ყოველთვის ასე იქნება, იმიტომ, რომ გაუგებარი მიდგომებია. ერთი მხრივ, გასაგებია, რომ ოპოზიციის კვოტაც არის ამ საზოგადოებრივი მაუწყებლის საბჭოში, მეორე მხრივ, როგორც ჩანს, არ იყო ერთიანი აზრი თავად უმრავლესობაში და იმ ადამიანებთან, რომლებიც დღეს აპროტესტებენ, როგორც ჩანს, არც მოლაპარაკება იყო, არც შეთანხმებული იყო, არც საერთო აზრი იყო ჩამოყალიბებული. ოპოზიციას ისიც კი ურჩევნია, რომ ჩაუგდონ კანდიდატურა და მერე ამაზე მოაწყონ ისტერიკა. ეს ხომ ყოველთვის არის პოლიტიკური ვაჭრობისა და პიარის საგანი. მეორე მხრივ, საკითხი დგას ასე: არიან კი ეს ადამიანები, რომლებიც თავს ასაღებენ პოლიტიკურად მიუკერძოებლად, მართლაც ასეთები და ობიექტურები?! რა თქმა უნდა, არა!

***– რას გულისხმობთ?***

– მათ თუ ავიწყდებათ თავიანთი საჯარო გამონათქვამები თუ სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაცია, სხვას არ ავიწყდება და ახსოვს.

***– ნინია კაკაბაძეს გულისხმობთ?***

– არავისზე არ მინდა, კერძოდ ვისაუბრო. ეს არის ზოგადი მოვლენა. საერთო მოვლენაა, ვითომ ლიბერალების გუნდიდან მუდმივად მოდის საზოგადოებისთვის მიუღებელი გამონათქვამები, პოზიციები და ასე შემდეგ. ჩვენ თვალწინ ისეთი ადამიანების ტრანსფორმაცია ხდება, რომლებიც გუშინ სააკაშვილსა და მის რეჟიმს ლანძღავდნენ, დღეს მიშას ნოსტალგიით არიან შეპყრობილნი. საზოგადოებრივ მაუწყებელს თუ უნდა, იყოს მართლა საზოგადოების ტელევიზია, მასში უნდა იყოს წარმოდგენილი ყველას თვალსაზრისი, მაგრამ სიძულვილის ენაზე სხვას რომ სთხოვენ პასუხს, თვითონ არ უნდა ლაპარაკობდნენ სიძულვილის ენით. ძალიან ხშირად ეს ასე ხდება.

***– საით მიანიშნებთ?***

– როდესაც ადამიანი სიძულვილის ენაზე მოიხსენიებს პატრიარქს, ეს თურმე მისაღები ყოფილა და სიტყვის თავისუფლებაა, ხოლო თუ თქვი, რომ მათი მსოფლმხედველობა შენთვის არის მიუღებელი, შენ ლაპარაკობ სიძულვილის ენით! უნდა დამთავრდეს ეს სპეკულაციები! ეს არ დამთავრდება მანამ, ვიდრე ყველაფერს თავისი სახელი არ დაერქმევა. გადახედეთ თუნდაც „ქართულ ოცნებას“, მარტო გიგა ბოკერიას რამდენი მეგობარია დღეს ხელისუფლებაში.

***– „ოცნებასთან“ მის ახლო კავშირებზე ბევრს საუბრობენ.***

– რა საუბარი ამას უნდა. ეს თვალსაჩინო და ნათელია. სწორედ ამან განაპირობა „ოცნების“ შიგნით არეულობა და ჯგუფებში პროტესტი. ეს ყველაფერი გროვდება. იმავე სახალხო დამცველის დამტკიცებისას უკვე მომწიფებული იყო ეს, მაგრამ რაღაცნაირად შეინარჩუნეს სახე იმ მომენტში, მაგრამ ამას დაემატა კიდევ და მოსალოდნელია, რომ ეს პროტესტი კიდევ უფრო გაღრმავდეს.

***– საპრეზიდენტო არჩევნებისთვის შესაძლოა უკვე ღრმა კრიზისი ჰქონდეს „ქართულ ოცნებას“?***

– რა თქმა უნდა! ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, ვის კანდიდატურას წამოაყენებენ და იქნება თუ არა გუნდი ერთიანი ამ კანდიდატის მიმართ. იმდენი იმედგაცრუება იყო უკვე, რომ...

ჯერ ეს დაიწყო ქვემოთ, ამომრჩევლის დონეზე, მერე წავიდა უფრო ზემოთ და ახლა სულ ზემოთ არის ეს უკმაყოფილება. აწინაურებენ ისევ ძველ სახეებს, იმ ხელისუფლების დროინდელს. სააკაშვილმა ვინც გამოაცხადა ჩარეცხილებად, ამ ხელისუფლებას პრაქტიკულად არავისი რეაბილიტაცია არ მოუხდენია. გრძელდება იგივე. ერთი განსხვავებაა – სააკაშვილი ამას ხმამაღლა, აგრესიული განცხადებებით გამოხატავდა. დღეს ამას ხმამაღლა არ ამბობენ, თუმცა ზუსტად იგივე პროცესი მიმდინარეობს.

***– რას მიიღებს ამით „ოცნება“?***

– „ოცნებაც“ არ არის ერთიანი და ყოველთვის დგება ის მომენტი, როდესაც რაღაც ასრულებს ბოლო წვეთის ფუნქციას. რას მიიღებს? იმაზე მეტი გაღიზიანება და იმედგაცრუება, რომელიც დღეს არის, რთული წარმოსადგენია. 6 წელია გასული, მეტი ხომ არა?! რაღაც ძალიან სწრაფი ტემპებით ხდება ეს ყველაფერი. მეორე ვადით არის ახლა არჩეული პარლამენტი. საქართველოში პოლიტიკური ტრადიცია დამკვიდრდა, ამომრჩეველი ორ ვადას იტანს და მერე ველარ უძლებს და ველარ იტანს.

***– ანუ არ გამორიცხავთ, რომ 2020-სთვის სულ სხვა რეალობა და მოცემულობა იყოს?***

– აბსოლუტურად არ გამოვრიცხავ. მე ბევრჯერ მითქვამს, „ქართული ოცნება“, როგორც პარტია, არა და არ ჩამოყალიბდა. თავის დროზე ამას კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი სხვა პარტიები ყველანაირად უშლიდნენ ხელს. ახლა ის პარტიები ჩამოსცილდნენ, მაგრამ მაინც ვერ შედგა, როგორც პარტია. როგორც ჩანს, ამის არც სურვილი აქვთ და არც ნება. ამიტომ ეს რღვევის პროცესი თუ წავიდა „ქართულ ოცნებაში“, როგორც ბოლო 27 წელია ხდება, ყოფილი მმართველი გუნდიდან გამოიჩეკება ახალი ოპოზიცია.

კარგად თუ დაფიქრდებით, ივანიშვილს ეგეც აქვს ნათქვამი, ოპოზიციასაც მე შევქმნიო. ოპოზიციის შიგნითვე აღმოცენება პირწმინდად ჯდება ქართული პოლიტიკური სტრუქტურის ჩარჩოებში. სერიოზულ სიურპრიზებს უნდა ველოდეთ.

***– სააკაშვილიც იმუქრება, დავბრუნდებიო.***

– სააკაშვილი საფრთხეში რომ არ ჩაიგდებს თავს, ეს ყველამ კარგად იცის. თუ დაბრუნდება, მაშინ იცოდეთ, რომ ის გარიგებულია „ოცნებასთან“.

***– ამასაც უშვებთ?***

– მე უკვე იმდენი ხანია ვაკვირდები ამ პროცესებს და იმდენი რაღაც მაქვს ნანახი, რომ არაფერს აღარ გამოვრიცხავ.

# თამარ მეარაყიშვილი: „ჩემი სიცოცხლე საფრთხეშია“

## „რამე რომ მომივიდეს, ჩემს დაკრძალვაზეც მოვლენ და სელფებს გადაიღებენ. შეიძლება, გმირადაც გამომაცხადონ, ცოცხალი არავის ვაინტერესებ“

შორენა მარსაგიშვილი

ახალგორელი სამოქალაქო აქტივისტის, თამარ მეარაყიშვილის შესახებ საქართველოში ყველამ იცის. მას კარგად იცნობენ ცხინვალის რეგიონშიც. ის ძალიან აქტიური ადამიანია და იმაზე ბედავს ხმამაღლა ლაპარაკს, რაზეც სხვები დუმილს ამჯობინებენ.

თამარ მეარაყიშვილი დღეს საკმაოდ სერიოზული საფრთხის ქვეშ არის. უკვე 8 თვეა, მას ახალგორის დატოვების უფლებას არ აძლევენ, ოფიციალური თბილისი კი მის მხარდასაჭერად ხმასაც არ იღებს.

საქართველოს ხელისუფლებას არც მაშინ გახსენებია თავისი თანამოქალაქე, როდესაც ის ოსურმა სპეცსამსახურებმა გაიტაცეს და 15 საათი ტყვეობაში ამყოფეს.

მართალია, ოფიციალურმა თბილისმა ამის შესახებ გაიგო, მაგრამ ცხელი ხაზი არ აუმოქმედებია და არ დაჰკავშირებია ცხინვალს. უცნაურია, მაგრამ მისი გაუჩინარების გამო თავად ოსებმა ატეხეს განგაში. მათვე მიაწოდეს ეს ინფორმაცია საერთაშორისო ორგანიზაციებს.

ხელისუფლების წარმომადგენლები მას არც ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ შეხმიანებიან. არადა, ეს ამბავი აქტიურად გააშუქა ქართულმა მედიამ.

ამ ინციდენტზე მეარაყიშვილი არ საუბრობს, სამაგიეროდ, „ახალ თაობასთან“ ამბობს, რომ, შესაძლოა, მორიგი მსხვერპლი გახდეს. არადა, თავად ბევრი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა.

რატომ ვერ ტოვებს ახალგორს, რას ედავება ცხინვალის ხელისუფლება, ვინ უწვდის დახმარების ხელს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ თამარ მეარაყიშვილი ესაუბრება.

**თამარ მეარაყიშვილი:**

– არჩილ ტატუნაშვილის დაკრძალვასა და სამძიმარზე მთელი ხელისუფლება იყო მისული. ამაზე ძალიან კარგად დაწერა ცოტნე გამსახურდიამ – ქვეყანა, რომელსაც მკვდარი უყვარხარ. მართლაც ასეა, ცოცხალი რომ ხარ, არავის ადარდებს, მკვდარს კი საქვეყნოდ დაგიტირებენ და ამით თავიანთ პიარსაც გაიკეთებენ.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ჩემი სიცოცხლეც საფრთხეშია და, რამე რომ მომივიდეს, ხვალ ჩემს დაკრძალვაზეც მოვლენ და სელფებს გადაიღებენ. შეიძლება, გმირადაც გამომაცხადონ. ცოცხალი არავის ვაინტერესებ.

ერთადერთი, ვინც ჩემ მიმართ ინტერესს იჩენს, არის სახალხო დამცველის აპარატი. არ მტოვებენ მედიის წარმომადგენლებიც. სრულიად უცხო ადამიანებიც მეხმაურებიან და მამხნევებენ.

**რას სთხოვს საქართველოს ხელისუფლებას ახალგორში გამოკეტილი სამოქალაქო აქტივისტი**

***– საქართველოს ხელისუფლება რატომ არ ინტერესდება თქვენი მდგომარეობით?***

– ეს საქართველოს ხელისუფლებას უნდა ჰკითხოთ.

***– ცხინვალის ხელისუფლებამ ახალგორის დატოვება აგიკრძალათ. არ მუშაობთ და თავის გატანას როგორ ახერხებთ?***

– მეგობრები მეხმარებიან. მეხმარებიან დედა და მამა. ისინიც აქ ცხოვრობენ, ახალგორში. ორივე პენსიონერია. წესით, მე უნდა ვეხმარებოდე მათ, მაგრამ ასაკოვან მშობლებს უწევთ ჩემი დახმარება. ჩემი შვილი თბილისშია, სტუდენტია და ვერაფრით მეხმარება.



ბოლო პერიოდში დავიწყე გულსაბნევების გაკეთება. ჩემს ნამუშევრებს თბილისში ვაგზავნი და იქ მიყიდიან. ამ გულსაბნევებს ცხინვალის მაღაზიებშიც ვაბარებ. იქაც კარგად იყიდება. ასე გამაქვს თავი.

***– ცხინვალის მაღაზიებში ვაბარებო და იციან, ვინც ხართ?***

– ბიბილოვის გაპრეზიდენტების შემდეგ ჩემ წინააღმდეგ რამდენიმე საქმე აღიძრა და ცხინვალის რეგიონში ძალიან პოპულარული და ცნობადი გავხდი. მაღაზიებში, სადაც გულსაბნევებს ვაბარებ, იციან, ვინ ვარ.

***– არასდროს გიცდიათ ახალგორის დატოვება?***

– რატომ უნდა დავტოვო ახალგორი? აქ გავიზარდე, აქ მაქვს სახლი. არსად წასვლას არ ვაპირებ, ან რატომ უნდა წავიდე? არც წავალ.

***– მესმის, რომ მანდ არის თქვენი სახლი, მაგრამ, საფრთხე რომ გემუქრებათ?***

– ამის გამო დავტოვო ჩემი სახლი? აქ ვინც არის, ყველას ემუქრება საფრთხე. ხშირად მოდიან ცხინვალიდან და მიჰყავთ პოლიციაში ხალხი. როგორც კი ასეთი ფაქტების შესახებ ვიგებ, მაშინვე ვუკავშირდები ოს უფლებადამცველებს, რუსულ არასამთავრობოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს. ისინი ამაზე რეაგირებენ და დაკავებულებს ათავისუფლებენ.

ნეტა ტატუნაშვილის დაჭერის ამბავიც დროზე გაეგებინებინათ ჩემთვის. ყველას მივწერდი, ყველას შევაწუხებდი და, შესაძლოა, დღეს ის ცოცხალი ყოფილიყო.

***– როგორ გახდით სამოქალაქო აქტივისტი? თბილისსა და ცხინვალში სწორედ ასე მოგიხსენიებენ.***

– სოციალური ქსელებით აქტიურობა აგვისტოს ომის შემდეგ დავიწყე. სულ რამდენიმე წელია, რაც გავიგე, რომ არსებობენ სამოქალაქო აქტივისტები. მეც სამოქალაქო აქტივისტად მომიხსენიებენ.

***– ის, რასაც თქვენ აკეთებთ, მხოლოდ სამოქალაქო აქტივისტობა არ არის. ბევრისთვის თქვენი აქტიურობა გმირობაა.***

– ვერ ვიტყვი, რომ ეს გმირობაა. რასაც მე ვაკეთებ, სამოქალაქო აქტიურობაა და მეტი არაფერი. ომამდეც და ომის შემდეგაც ახალგორის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ვმუშაობდი.

საქართველოს ხელისუფლებამ თანამდებობიდან სამჯერ გამათავისუფლა. ორჯერ ოსურმა მთავრობამ დამტოვა უსამსახუროდ.

***– ოფიციალურმა თბილისმა რატომ გაგათავისუფლათ სამსახურიდან?***

– ეს ომამდე მოხდა. არც მათ მოსწონდათ, ღიად რომ ვაფიქსირებდი ჩემს პოზიციებს. ვსაუბრობდი ღიად და, როგორც ჩანს, ხელისუფლებისთვის არასასურველ ინფორმაციებს ვაჟღერებდი.

***– ოსებთანაც ამის გამო შეგექმნათ პრობლემები?***

– რა თქმა უნდა. ოსური მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენელი ჩემთან დაკავშირებით რადიკალური ნაბიჯების გადადგმას ერიდებოდა. იცოდნენ, რომ ეს ჩემი პოპულარობის გაზრდას შეუწყობდა ხელს. მართლაც ასე მოხდა. ბიბილოვის წყალობით ძალიან პოპულარული გავხდი.

***– პრეზიდენტად ბიბილოვის არჩევის შემდეგ მართლაც ბევრი პრობ-***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ლაშა ჩხარტიშვილი: „თბილისი, ჭიათურა, ტყიბული, კაზრეთი და ზესტაფონი ეკოლოგიური უბედურების ზონებია“

## „ხელისუფლება ხალხს შრომით და ეკოლოგიურ გენოციდს უწყობს“

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ, 5 აპრილს, მორიგი ტრაგედია დატრიალდა ტყიბულში. მინდელის სახელობის მაღაროს ერთ-ერთი გვირაბში ჭერი ჩამოინგრა, რამაც 6 მაღაროელის სიცოცხლე შეიწირა. 3 მაღაროელი მძიმედ დაშავდა.

ტრაგედიიდან რამდენიმე საათში ტყიბულში ხელისუფლების წარმომადგენლები ჩავიდნენ და მწუხარე სახეებით შრომითი უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობაზე ალაპარაკდნენ. იმის გამო, რომ საქართველოში შრომითი უსაფრთხოება დაცული არ არის, 5 აპრილის მსგავსი ტრაგედიები იშვიათობას არ წარმოადგენს.

არასამთავრობოების ნაწილი მომავალ კვირას შრომითი უსაფრთხოების წესების გამკაცრების მოთხოვნით პარლამენტთან აქციას გამართავს. აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი, „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ შრომითი და ეკოლოგიური გენოციდის შეჩერება მხოლოდ ხალხის აქტიურობას შეუძლია.

**ლაშა ჩხარტიშვილი:**

– რა უნდა ვთქვა ტყიბულის მაღაროში დატრიალებულ ტრაგედიაზე. ეს არის შრომითი და ეკოლოგიური გენოციდი, რომელსაც ხელისუფლება საკუთარ ხალხს უწყობს.

თებერვალში ხელისუფლებამ კანონში შრომითი უსაფრთხოების შესახებ მხოლოდ კოსმეტიკური ცვლილებები შეიტანა და ამით კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა, რომ მისთვის ადამიანების სიცოცხლე მნიშვნელოვანი არ არის. მათ არ აინტერესებთ, რამდენ სიცოცხლეს შეიწირავს მცირე თუ დიდი ოლიგარქების ბიზნესი.

აი, ასეთ რეალობაში ვცხოვრობთ დღეს და, სამწუხაროდ, ეს თავად საზოგადოების დამსახურებაც არის.

***– საზოგადოება რა შუაშია?***

– ამ პრობლემაზე საზოგადოებაში თანმიმდევრული და სათანადო რეაქციები არ არის. ადამიანების ნაწილი თუ ცალკეული ორგანიზაციები ცდილობენ ხმის ამაღლებას, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ეს ხმა ხელისუფლებამდე არ მიდის და შედეგიც დადგა – მაღაროში 6 ადამიანი დაიღუპა. სამწუხაროდ, მსგავსი შემთხვევებისგან დაზღვეული არც მომავალში ვართ.

***– რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მსგავსი ტრაგედია თავიდან იქნეს აცილებული?***

– პირველ რიგში, ასეთ ფაქტებზე საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ძალიან მწვავე რეაქცია. აუცილებელია კონკრეტული პირების დასჯა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შრომითი გენოციდი გაგრძელდება.

***– ვისი დასჯა მოიტანს შედეგს?***

– ის ადამიანები უნდა დაისაჯონ, რომლებიც გადაწყვეტილებებს იღებენ. სანამ მხოლოდ მეისრეებზე გადატყდება ჯოხი, მანამ კიდევ ბევრი მსხვერპლი გვექნება. მნიშვნელობა არა აქვს, სად მოხდება ეს – ტყიბულში, ჭიათურაში, ზესტაფონსა თუ კაზრეთში.

იქიდან გამომდინარე, რომ ხელისუფლებას ადამიანების სიცოცხლე არ ადარდებს, ჩვენ გადავწყვიტეთ, ახალი საპროტესტო კამპანია წამოვიწყოთ. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საიმისოდ, რომ შრომითი უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტები ახლა მაინც დამკვიდრდეს საქართველოში.

ამის გარდა, უნდა მოვითხოვოთ, რომ ინდუსტრიულ ქალაქებში ადამიანებს სიცოცხლის უფლება შეუნარჩუნდეთ. ინდუსტრიულ ზონებში მხოლოდ შრომითი უსაფრთხოება არ არის პრობლემა. იქ ეკოლოგიაც ძალიან მძიმე დღეშია.

ეს ინდუსტრიული ქალაქები, თბილისთან ერთად, ეკოლოგიური უბედურების ზონებს წარმოადგენენ.

დედაქალაქის შემთხვევაში ტრანსპორტით დაბინძურებული ჰაერია მთავარი მკვლელი, ინდუსტრიულ ქალაქებში კი საწარმოები იწვევს ეკოციდს. ეს საწარმოები უაღრესად მოძველებული ტექნოლოგიებით მუშაობენ. საუბარია როგორც შრომით, ასევე მომპოვებელ და გადამამუშავებელ ტექნოლოგიებზე.



ეს მოძველებული ტექნოლოგიები მხოლოდ მუშებს არ ხოცავს მყისიერად. ეს ძველი ტექნოლოგიები იმ ადამიანებსაც ხოცავს, რომლებიც იქ ცხოვრობენ. ამ ადამიანების სიცოცხლე რამდენიმე წლით არის შემოკლებული. ესეც ჩვეულებრივი მკვლელობაა.

***– მინდელის მაღაროში მომხდარ ტრაგედიას დავუბრუნდეთ. ხელისუფლების წარმომადგენლებმა რამდენიმე საათში გვითხრეს, რომ ნგრევა სამთო დარტყმამ გამოიწვია. ასეთ მოკლე დროში შეიძლება მიზეზის დადგენა?***

– ასეთ მოკლე დროში დასკვნის გაკეთება შეუძლებელია და, შესაბამისად, ხელისუფლების პასუხი დამაჯერებელი არ არის, თანაც აქ მიზეზს მნიშვნელობა არა აქვს. რა მიზეზიც უნდა ყოფილიყო, ეს გვირაბი ანუ სამუშაო ადგილი უნდა ყოფილიყო უსაფრთხო, გამაგრებული და არ უნდა გამოეწვია ადამიანების მსხვერპლი.

შრომის ინსპექცია მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. მას არანაირი უფლება არა აქვს. შრომითი უსაფრთხოების თვალსაზრისით „ქართული ოცნება“ წინამორბედისაგან დიდად არ განსხვავდება.

ნაციონალური მოძრაობა პირდაპირ ამბობდა, რამდენი მუშა დაიღუპებოდა, რადგან მისთვის მთავარი ე.წ. ეკონომიკური განვითარება იყო, რაც სინამდვილეში მათთან შეზრდილი ბიზნესის განვითარებას გულისხმობდა და არა – ხალხის კეთილდღეობას.

მოქმედი ხელისუფლება ამბობს, რომ მათ აინტერესებს შრომითი უსაფრთხოება, რაღაც ღონისძიებებსაც ახორციელებს ამ მიმართულებით. ამის შედეგი სტატისტიკაშია ასახული, რაც ნაციონალების სტატისტიკაზე უარესია.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სააკაშვილი იყო ყაჩაღი და ყაჩაღურად ხოცავდა მშრომელებს, ხოლო ივანიშვილი არის მორიდებული ქურდი, რომელიც თავისი დაუდევრობით მშრომელების სიცოცხლეს იწირავს.

***– ზემოთ თქვით, რომ იწყებთ კამპანიას იმისთვის, რომ ხელისუფლება აიძულოთ, შრომით უსაფრთხოებას მეტი ყურადღება დაუთმოს. აქციები უნდა გამართოთ თუ რა ტიპის აქტიურობა იქნება?***

– უკვე გადაწყვეტილია, რომ მომავალ კვირას, 11 აპრილს, შევიკრიბებით თბილისის პარლამენტის შენობასთან, სადაც ხელისუფლებას მოვთხოვთ, შრომითი უსაფრთხოება დაიცვას. ამავე აქციაზე გავაპროტესტებთ დიდი ჰესების მშენებლობას. ეს აქცია 18.30 საათზე გაიმართება.

14 აპრილს კიდევ ერთხელ შევიკრიბებით პარლამენტის შენობის წინ, სადაც გიგანტური ჰესების მშენებლობას გავაპროტესტებთ. ამ აქციაზე შრომითი უსაფრთხოების დაცვის საკითხებსაც წამოვწევთ.

# ტყიბულში, მინდელის მაღაროში, 6 ადამიანი დაიღუპა

ტყიბულში, მინდელის მაღაროში მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრო განცხადებას ავრცელებს. როგორც შსს-ს განცხადებაშია აღნიშნული, შემთხვევის შედეგად დაღუპულია 6 ადამიანი.

– მიმდინარე წლის 5 აპრილს, გამთენიისას, „112“-ში შევიდა შეტყობინება, რომ ქალაქ ტყიბულში, მინდელის სახელობის მაღაროს №1 უბანში რამდენიმე ადამიანმა სხეულის დაზიანება მიიღო.

შეტყობინების მიღებისთანავე შემთხვევის ადგილზე მყისიერად გამოცხადდნენ სამართალდამცველები და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადები.

გამოძიების პირველადი ინფორმაციით, მაღაროს ერთ-ერთ გვირაბში მოხდა კედლების დეფორმაცია, რასაც ჭერის ჩამოშლა მოჰყვა. ჩამონგრევის დროს ამავე მაღაროში მყოფმა სამთო ოსტატმა – 1963 წელს დაბადებულმა გ. ნ.-მ, სამთო მუშებმა: 1981 წელს დაბადებულმა ი. კ.-მ და 1963 წელს დაბადებულმა მ. ა.-მ ჯანმრთელობის დაზიანებები მიიღეს. ისინი საავადმყოფოში არიან გადაყვანილი.

შემთხვევის შედეგად სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღეს ამავე მაღაროს მიწისქვეშა სამთო ოსტატმა: 1972 წელს დაბადებულმა მ. ქ.-მ, ოსტატ-ამფეთქებელმა – 1968 წელს დაბადებულმა ბ. გ.-მ, სამთო მუშებმა – 1992 წელს დაბადებულმა პ. გ.-მ, 1959 წელს დაბადებულმა გ. რ.-მ, 1990 წელს დაბადებულმა გ.ბ.-მ და 1966 წელს დაბადებულმა ე.ბ-მ. ყველა მათგანი მიღებული დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო საქართველოს სსკ-ს 240-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს. დანაშაული 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

– როგორც მიწისძვრის, ისე სამთო დარტყმის პრევენცია ვერ ხერხდება, ამ მასშტაბის სამთო დარტყმა 1986 წელს მოხდა და ახლა იყო მეორე შემთხვევა.

ამის შესახებ „საქნახშირის“ დირექტორმა ჯამბულ ჯაყელმა განაცხადა.

– მაღაროში მოხდა სამთო დარტყმა, რომელმაც გამოიწვია ჰაერის დიდი ჭავლის გატყორცნა, რამაც ადამიანების დაზიანება და ზოგიერთ მათგანის გარდაცვალება გამოიწვია. ერთ საათში მოგვიწია ყველა ადამიანის მოძებნა. გარდაცვლილები გადაყვანილი არიან ქუთაისის პროზექტურაში, – განაცხადა ჯამბულ ჯაყელმა.

როგორც ჯაყელი აცხადებს, ტყიბულის მაღაროში მომხდარი უბედური შემთხვევის გამომწვევი მიზეზი უსაფრთხოების ნორმების დარღვევა არ გამხდარა.

– უსაფრთხოების ნორმების დარღვევა გამორიცხულია. როგორც მიწისძვრის, ისე სამთო დარტყმის პრევენცია ვერ ხერხდება, ამ მასშტაბის სამთო დარტყმა 1986 წელს მოხდა და ახლა იყო მეორე შემთხვევა. პატარა სამთო დარტყმები სულ არის, მაგრამ ამ მასშტაბის დარტყმები იშვიათია, გამონაკლისია. წინა შემთხვევები იყო სულ სხვა და ეს არის კიდევ სხვა, – განუცხადა ჯაყელმა ტელეკომპანია რუსთავი 2-ს.



### დაშავებული მაღაროელი – იმდენად ძლიერი ტალღა იყო, კედელზე მიმანარცხა

– იმდენად ძლიერი ტალღა იყო, კედელზე მიმანარცხა – ჩვენ ამას სამთო დარტყმას ვეძახით, რომელიც სიგნალს არ იძლევა თითქმის ათი წელია აქ ვმუშაობ, მაგრამ ასეთი შემთხვევა არასდროს მსმენია. ის, რაც დღეს მოხდა, ჩვენ ამას სამთო დარტყმას ვუწოდებთ, რომელიც სიგნალს არ იძლევა.

ამის შესახებ იმერეთის რეგიონულ კლინიკურ საავადმყოფოში მინდელის მაღაროში დაშავებულმა ერთ-ერთმა მაღაროელმა ირაკლი კირკიტაძემ განაცხადა, რომელიც პირველმა ვიცეპრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა მოინახულა.

მისი თქმით, მომხდარი მოვარდნილმა ჰაერის უზარმაზარმა ტალღამ გამოიწვია.

– ჰაერის უზარმაზარი ტალღა წამოვიდა. უსაფრთხო ადგილზე ვიყავი, თუმცა, იმდენად ძლიერი ტალღა იყო, მიმანარცხა კედელზე. ჩვენ ამას სამთო დარტყმას ვეძახით, რომელიც სიგნალს არ იძლევა და, როგორც ვიცი, ამის პრევენცია ვერ ხდება, – განაცხადა დაშავებულმა მაღაროელმა.

მისივე თქმით, ჰაერის მოვარდნილმა ძლიერმა ტალღამ 15-17 მეტრზე ათრია.

ექიმების განცხადებით, აღნიშნული მაღაროელის მდგომარეობა სტაბილურია. ის ადეკვატური და კონტაქტურია.

– ყველაფრის განსაზღვრა შესაძლებელი იქნება მას შემდეგ, თუ მთავრობა და მაღაროს ადმინისტრაცია კომისიაში ჩვენს წარმომადგენელს ჩართავს. ამის გარეშე რომ მათ თვითონ გამოიძიონ და საზოგადოებას და ჩვენ მოგვცენ ინფორმაცია იმაზე, თუ რა მოხდა რეალურად, ბუნებრივია, ამ ინფორმაციის სანდოობა ძალიან დაბალი იქნება საზოგადოებისა და პროფკავშირებისთვის.

პროფკავშირებს აქვს გამოცდილება, როგორ ცდილობდნენ ყოველთვის, ჩვენი წარმომადგენელი კომისიაში არ ჩაერთოთ. ვიზიარებთ ტრაგედიას. ეს არის კატასტროფა, რაც ხდება ქვეყანაში შრომის უსაფრთხოების კუთხით. ზოგადად კანონმდებლობას ჯერჯერობით ვმიჯნავთ იმ უბედურებისგან, რომელიც ტყიბულსა და მთლიანად საქართველოს დაატყდა თავს, სანამ რეალობა არ გვეცოდინება, რისგან მოხდა ამ მასის ჩამოწოლა, როგორ წარმოიქმნა ჰაერის ტალღა, – განაცხადა პროფკავშირების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილმა.

კითხვას, თუ არ ჩართეს საგამოძიებო კომისიაში პროფკავშირების წარმომადგენლობა, ნიშნავს თუ არა ეს, რომ უსაფრთხოების წესების შესაძლო დარღვევას ჰქონდა ადგილი, პეტრიაშვილი პასუხობს: „დიახ, პირდაპირ ამას დაადასტურებს“.

– წინა შემთხვევაში, რომელიც ტყიბულში მოხდა, ჩვენი წარმომადგენელი არ ჩართეს გამოძიებაში. მანამდე ჩვენ მივმართეთ შრომის ინსპექციას, რომ ტყიბულში ადგილი ჰქონდა უსაფრთხოების ნორმების დარღვევას და, საბოლოო ჯამში, შრომის ინსპექტორები ჩამობრძანდნენ, მოგვაწოდეს დასკვნა, რომ ტყიბულში ყველაფერი კარგად არის. ორ თვეში კი მოხდა ტრაგედია, როცა ჩვენი ოთხი თანამოქალაქე დაიღუპა, – აღნიშნა პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილმა.

სახალხო დამცველი ტყიბულის მაღაროში მომხდარ ტრაგედიას ეხმიანება და საკუთარ განცხადებაში აღნიშნავს, რომ წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევების შესახებ დაწყებული გამოძიების გაჭიანურებისა და გამოძიების ფარგლებში შედეგის დადგომის პრობლემა იკვეთება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სახალხო დამცველის აპარატიდან აცნობეს, სახალხო დამცველის შეფასებით, მნიშვნელოვანია, რომ დაწყებული გამოძიების დროულად და ეფექტიანად წარმართვა მოხდეს. ამასთან, ომბუდსმენის განცხადებაში საუბარია 2015-2017 წლების სტატისტიკაზეც.

– 2018 წლის 5 აპრილს გავრცელებული ინფორმაციით, ტყიბულში, მინდელის სახელობის ქვანახშირის მაღაროში ჭერის ჩამონგრევის შედეგად 6 ადამიანი გარდაიცვალა და 3 დაშავდა. სახალხო დამცველის წარმომადგენელმა ქუთაისის რეგიონულ კლინიკურ საავადმყოფოში მოინახულა დაშავებული ორი მაღაროელი. სახალხო დამცველი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მომხდარის გამო და დაღუპულთა ოჯახებს უსამძიმრებს.

მთავრობის გადაწყვეტილებით, 6 მაისი ქვეყანაში გლოვის დღედ გამოცხადდა.

# გიორგი კახიანი: „გედი ფოფხაძე ჩვენთან დარჩება“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი კახიანი**, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში გედევან ფოფხაძის გადაწყვეტილებასა და საპარლამენტო უმრავლესობის შიგნით მიმდინარე პროცესებზე საუბრობს.



***– ბატონო გიორგი, რამდენად არის შესაძლებელი, რომ გედევან ფოფხაძე გუნდში დარჩეს და უკან წაიღოს თავისი სიტყვები?***

– გედევან ფოფხაძე ჩვენი გუნდის აქტიური და ღირებული წარმომადგენელია. სიმართლე გითხრათ, ძნელად წარმომიდგენია, რომ გედი არ იყოს ჩვენი გუნდის წევრი. ვფიქრობ, ამ საკითხის პროცედურული ნაწილი ცალკე დგას. გედევან ფოფხაძე რა სტატუსით დარჩება გუნდში, თუ საერთოდ გავა უმრავლესობიდან, ეს ცალკე თემაა. მე მაინც მგონია, რომ, ფაქტობრივად, ის გუნდში დარჩება, რადგან ჩვენს მეგობრობას, თანაგუნდელობას, საერთო წარსულს დიდი ისტორია აქვს. ამიტომ მგონია, რომ არ შეიძლება ასე მარტივად, ამ ერთი ემოციური გადაწყვეტილების გამო ეს ყველაფერი წარსულში დარჩეს და, უბრალოდ, გაქრეს.

***– ელოდით მისგან ამ გადაწყვეტილებას?***

– ცხადია, არა, მოულოდნელი იყო. ემოციების ფონზე მიიღო ეს გადაწყვეტილება და განცხადებაც ამ ფონზე გააკეთა.

***– შეიძლება გუნდმა გადაწყვეტილება შეაცვლევინოს?***

– არ გამოვრიცხავ, რომ გედიმ გადაწყვეტილება შეიცვალოს და უმრავლესობის შემადგენლობაში დარჩეს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ უმრავლესობის შემადგენლობაში დარჩეს, როგორც უფრაქციო პარლამენტის წევრი. თუმცა, ეს ყველაფერი ამ პროცესის პროცედურული ნაწილია, ფაქტობრივად კი გედი ჩვენი თანაგუნდელია და ამ თვალსაზრისით არაფერი შეცვლილა.

***– ბატონი გედი ჩემთან ინტერვიუში ამბობს, რომ ის თანაგუნდელებზე ძალიან გაბრაზებულია. რა პროცესთან გვაქვს საქმე, რა ხდება უმრავლესობის შიგნით?***

– პირველ რიგში, რაც შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ ბოლო დღეებში გავრცელებული ინფორმაციები უმრავლესობის შიგნით არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით გადაჭარბებულია და ზედმეტად დრამატული სურათის დახატვა ხდება. რეალურად, საპარლამენტო უმრავლესობის შიგნით საკმაოდ სტაბილური მდგომარეობაა. იქიდან გამომდინარე, რომ საპარლამენტო უმრავლესობა 115 დეპუტატისგან შედგება, ბუნებრივია, ყველა ერთნაირად არ ფიქრობს და ადამიანებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. რასაკვირველია, ასეთი რამე ხდება უმრავლესობაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უმრავლესობის დაშლის საფრთხე არსებობს. ეს, უბრალოდ, წარმოუდგენელია.

მე მგონია, რომ ამის წარმოჩენა ხელოვნურად ხდება. ვიღაცას აწყობს, უმრავლესობაში არსებული ვითარება ასე წარმოაჩინოს, მაგრამ საპარლამენტო უმრავლესობა შეკრული გუნდია და ჩვენს ერთიანობას საფრთხე არ ემუქრება.

***– თქვენ ამბობთ, რომ „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობას შეინარჩუნებს?***

– პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობის შენარჩუნებას 113 წევრი სჭირდება. დღეს უმრავლესობაში 115 წევრია. ამდენად, სამმა წევრმაც რომ დატოვოს საპარლამენტო უმრავლესობის შემადგენლობა, „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობას მაინც ინარჩუნებს. ამიტომ ამის არანაირი წინაპირობა არ არსებობს. მეტიც, მე გითხარით, რომ იმედი მაქვს, გედევან ფოფხაძეც კი დარჩება პროცედურულად და სამართლებრივად უმრავლესობის რიგებში.

***– დადის ხმები, რომ უმრავლესობის შიგნით გაჩნდება ახალი ფრაქციები. პროცედურულად ეს შეიძლება მოხდეს?***

– პროცედურულად ფრაქციების შექმნას თავისი წესი აქვს და ეს მხოლოდ ვინმეს სურვილზე არ არის დამოკიდებული. მსგავსი საუბარი, რომ უმრავლესობა რამდენიმე ფრაქციად დაიშალოს და ახალი ფრაქციები შეიქმნას, სიმართლე გითხრათ, არ გამიგია. ეს ხელოვნურად არის გავრცელებული. ვინ ავრცელებს და რა ძალები, ვერ გეტყვით.

***– მიზანი რა არის, რომ ერთგვარი დისონანსი შეიტანონ უმრავლესობის შიგნით?***

– რა თქმა უნდა, მსგავს ხმებს თავისი გათვლა აქვს. ამით ხდება საზოგადოებაში უმრავლესობის წარმოჩენა ისე, რომ ეს არ არის სტაბილური, ერთიანად შეკრული გუნდი და მართლაც ცდილობენ ერთგვარი დისონანსის შემოტანას, თუმცა, დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ მათი მიზანი ვერ იქნება მიღწეული.

***– ბექა ნაცვლიშვილზეც იყო საუბარი, თითქოს ისიც აპირებს უმრავლესობის დატოვებას. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?***

– თქვენ შეგიძლიათ, ეს თავად ბექასთან გადაამოწმოთ, მაგრამ მე გეუბნებით, რომ ეს ინფორმაცია ჭორია.

***– ბატონო გიორგი, მაინც როგორ ფიქრობთ, გედევან ფოფხაძის გადაწყვეტილება მხოლოდ ნინია კაკაბაძის ბორდის წევრად არჩევას უკავშირდება თუ პრობლემა უფრო სერიოზულია, უფრო მწვავეა გუნდის შიგნით?***

– გედევან ფოფხაძის გადაწყვეტილება უშუალოდ ამ ფაქტთან იყო დაკავშირებული. გედი საკმაოდ პრინციპული პიროვნებაა. მან ამ ფორმით გამოხატა საპარლამენტო უმრავლესობის ზოგიერთი წევრის ასეთი გადაწყვეტილება. ამის იქით არაფერი ყოფილა. მან ეს გადაწყვეტილება თავისი პრინციპებიდან გამომდინარე მიიღო.




# მთავრობამ ვანო მერაბიშვილის საქმეზე სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისთვის 5 ათასი ევრო გამოყო




ვანო მერაბიშვილის საქმეზე სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისთვის იუსტიციის სამინისტროს 5 ათასი ევროს ეკვივალენტი ლარი გამოეყო. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრის ბრძანებაშია ნათქვამი, რომლითაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ უნდა აღსრულდეს. ცნობილია, რომ საქართველოს სახელმწიფოს სტრასბურის სასამართლომ 4 ათასი ევრო დააკისრა, რომელიც შს ყოფილ მინისტრს კომპენსაციის სახით უნდა მიეღო. შესაბამისი თანხა იუსტიციის სამინისტროს წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გამოეყო.

სტრასბურის სასამართლომ ვანო მერაბიშვილის მიმართ ევროკონვენციის ორი მუხლის დარღვევა დაადგინა. გადაწყვეტილება ევროპის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ 2017 წლის 28 ნოემბერს მიიღო. როგორც გადაწყვეტილებაშია ნათქვამი, დიდი პალატის 9 წევრმა საქმეში ევროკონვენციის მე-18 მუხლის დარღვევას მხარი დაუჭირა, 8 კი წინააღმდეგ წავიდა.

– სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ არ ჰქონია ადგილი 51-ე მუხლის დარღვევას (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება, მერაბიშვილის წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით), ასევე მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობის შენობაში მოთავსებასთან დაკავშირებით ადგილი არ ჰქონდა 53 მუხლის დარღვევას. ადგილი ჰქონდა 53 მუხლის დარღვევას 2013 წლის 25 სექტემბრიდან. ასევე 9 ხმით 8-ის წინააღმდეგ სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა ევროკონვენციის მე-18 მუხლი, – ნათქვამია სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

# სასამართლომ ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებული დამნაშავედ ცნო

ახალციხის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და არასრულწლოვნის თანდასწრებით ჩადენილი ოჯახში ძალადობისთვის გ.ნ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს პროკურატურიდან აცნობეს, სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ოჯახში ძალადობისთვის ნასამართლევმა გ.ნ.-მ 2017 წლის 13 დეკემბერს ადიგენის რაიონში, ყოფილ მეუღლეს თ.ა.-ს ეჭვიანობის ნიადაგზე, არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, რის შედეგადაც დაზარალებულმა ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება მიიღო და ფიზიკური ტკივილი განიცადა.

სამართალდამცველებმა გ.ნ. 2017 წლის 16 დეკემბერს ადიგენის რაიონის სოფელ უდეში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, ჩადენილი არასრულწლოვანის თანდასწრებით, არაერთგზის) წარედგინა.

ახალციხის რაიონულმა სასამართლომ გ.ნ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 1 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.



# აშშ-ის ვიზა გასულ წელს 13%-ით ნაკლებმა უცხოელმა მიიღო

2017 წელს აშშ-ის ვიზა 13%-ით ნაკლებმა უცხოელმა მიიღო.

ამის შესახებ გამოცემა POLITICO აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით წერს.

მონაცემების მიხედვით, 2017 წლის მარტიდან 2018 წლის თებერვლამდე პერიოდში მთელ მსოფლიოში ერთი თვის განმავლობაში საშუალოდ 754.000 ვიზას გასცემდნენ.

2016 წელს ეს რიცხვი 865.000-ს შეადგენდა.

2017 წლის მარტიდან 2018 წლის თებერვლამდე პერიოდში აშშ-ში ჩასვლის ნებართვა სულ 9,682-მა მილიონმა ადამიანმა მიიღო. 2016 წელს ეს რიცხვი 10 მილიონს აჭარბებდა.

ამ მონაცემებზე დაყრდნობით, POLITICO ასკვნის, რომ დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში სავიზო პოლიტიკა გამკაცრდა.

ამასთან, 2017 წელს მუსლიმურ ქვეყნებში ამერიკული ვიზები 2016 წელთან შედარებით 19%-ით ნაკლებმა მოქალაქემ მიიღო.

# თამარ მეარაყიშვილი: „ჩემი სიცოცხლე საფრთხეშია“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

***ლემა შეგექმნათ. რა დაუშავეთ ასეთი ან რა ინფორმაცია გაავრცელეთ?***

– არაფერი დამიშავებია, ისევე ვაქტიურობდი, როგორც წინა წლებში. ბიბილოვმა პირდაპირ ბრძოლა გამომიცხადა. ამით ძალიან პოპულარული გამხადა და მთელ ცხინვალის რეგიონს გააცნო ჩემი თავი.

მისი მოსვლის შემდეგ ჩემ წინააღმდეგ ორი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ერთი საქმე გასული წლის აგვისტოში აღძრეს, მეორე – მიმდინარე წლის მარტში. პირველი საქმე ეხება ცილისწამებას. ბრალად მედება, რომ აქაურ მმართველ პარტიას „ერთიან ოსეთს“, ცილი დავწამე.

მეორე საქმე ოფიციალური დოკუმენტების გაყალბებას ეხება. თითქოს გაყალბების გზით ვაპირებდი ოსური პასპორტის მიღებას.

ცხინვალში ყველამ იცის, ცილისწამების მუხლით საქმე იმიტომ აღძრეს, რომ ჩემთან ბინაში შემოეღწიათ და ჩხრეკა ჩაეტარებინათ.

***– რატომ უნდოდათ თქვენს სახლში შემოღწევა, ან რას ეძებდნენ?***

– რას ეძებდნენ, არ ვიცი, მაგრამ ჩხრეკით უკმაყოფილო დარჩნენ, ეგონათ, მათთვის საინტერესო რამეს ნახავდნენ. ყველაფერი გაჩხრიკეს და მათი სახეები უნდა გენახათ. ჩემს სახლში „ცხელი შოკოლადის“ 2008 წლის სექტემბრის ნომერი ამოიღეს.

მთელი ეს ნომერი აგვისტოს ომს ეძღვნებოდა, მაგრამ შარი ვერ მომდეს. ამ ჟურნალში, ქართველების გარდა, ოსი და რუსი ავტორების წერილებიც იყო.

ჩემზე აშკარად გადაჭარბებული წარმოდგენა აქვთ, ვიღაცებისთვის გმირიც კი ვარ, მაგრამ ეს რა გმირობაა. ხშირად ძალიან მეშინია იმის, რასაც ვაკეთებ.

***– ამ შიშის მიუხედავად, ხომ მაინც აკეთებთ? ეს პატარა საქმე არ არის.***

– მეტის გაკეთებაც შემეძლო, მაგრამ ვერ გავაკეთე. აქტიურობას მომავალშიც გავაგრძელებ. საფრთხე, რა თქმა უნდა, მემუქრება, მაგრამ ამის გამო ახალგორიდან არ წამოვალ. წამოსვლა რომც მინდოდეს, ამას ვერ გავაკეთებ, საბუთები ცხინვალის ხელისუფლებამ ჩამომართვა.

ჩემ წინააღმდეგ საქმე დახურული არ არის და, იმედი მაქვს, საქართველოს ხელისუფლების ყურადღებას დავიმსახურებ. მხარდაჭერა ცოცხალს მჭირდება. თუ მომკლავენ, მათი თანაგრძნობა და ცრემლები არაფერში გამომადგება.

# ბოლნისის მუნიციპალიტეტში ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების ფაქტი გამოვლინდა

ეროვნული სატყეო სააგენტოს ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის თანამშრომლების მიერ ბოლნისის მუნიციპალიტეტში ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების ფაქტი გამოვლინდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან აცნობეს, ადგილობრივმა სამართალდამრღვევმა სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიიდან – სიონის სატყეო უბანზე, უკანონოდ მოიპოვა 7 მ3-მდე წიფლისა და რცხილის სახეობის საშეშე მერქანი.

მათივე ინფორმაციით, სატყეო სამსახურის თანამშრომლების მიერ, მაღალი გამავლობის ავტომანქანა დაილუქა. მიმდინარეობს გარემოზე მიყენებული ზიანის დაანგარიშება.

როგორც უწყებაში აცხადებენ, მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნება რაიონულ სასამართლოს.

ეროვნული სატყეო სააგენტო უკანონო ტყითსარგებლობის პრევენციულ ღონისძიებებს მთელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს.

# პაატა კოღუაშვილი: „პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ სოფლის მეურნეობისათვის მიუღებელია“

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2017 წელს 1.861.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 16.2 პროცენტით აღემატება 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელს.

ამავე პერიოდში რეინვესტიციის ოდენობამ მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 38.2 პროცენტი შეადგინა.

2017 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით, უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები ასე განაწილდა: აზერბაიჯანი – 482.1 მლნ დოლარი, თურქეთი – 279.0 მლნ დოლარი და გაერთიანებული სამეფო – 250.4 მლნ დოლარი.

ამასთან, წინასწარი შეფასებით, სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, 2017 წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით, 54.3 პროცენტი შეადგინა.

მიუხედავად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდისა, ისეთ მნიშვნელოვან სექტორში, როგორიცაა სოფლის მეურნეობის სექტორი, ინვესტიციების კლება დაფიქსირდა. სოფლის მეურნეობაში, ბოლო სამი წლის მონაცემებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით კლების ტენდენციით ხასიათდება. თუ 2015 და 2016 წელს 18.5% და 8.3% ფიქსირდება, 2017 წელს ამ მაჩვენებელმა 3.5% შეადგინა.

როგორც ვხედავთ, თითქმის 6-ჯერ არის შემცირებული ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ სექტორში დასაქმებულების ხვედრითი წილი საკმაოდ მაღალია და ის 46%-ს შეადგენს.

პაატა კოღუაშვილის თქმით, ის, რომ ინვესტიციების კლების ტენდენცია ფიქსირდება, სულაც არ არის გასაკვირი, რადგან სოფლის მეურნეობის დარგი მზად არ არის მსხვილმასშტაბიანი ინვესტიციების მოსაზიდად და ის სახელმწიფოს მუშაობას სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების მიმართულებით არასწორსა და არაეფექტურს უწოდებს.



– საქართველოს სოფლის მეურნეობა, დარგი როგორც ასეთი, მზად არ არის მსხვილმასშტაბიანი ინვესტიციების მოსაზიდად. ინვესტიციები რაც მოდიოდა, ძირითადად მოდიოდა გადამამუშავებელი მრეწველობის წარმოებაში. სოფლის მეურნეობაში აქ არავინ მოვა. აქ კიტრისა და პამიდვრის მოსაყვანად ფულს არავინ ჩადებს. ამიტომ ინვესტიციების კლება გასაკვირი არ არის. არის სერიოზული პრობლემები. ჩვენ არ გვაქვს დიდი ფართობები, დანაწევრებული საწარმოო ბაზა გვაქვს. თავად ეს დარგი არ არის ინვესტიცია ტევადი დარგი. რომ ავიღოთ 3 მილიონი სასოფლო-სამეურნეო მიწის სავარგული, აქედან ინვესტიცია ტევადი არის მხოლოდ ის ნარგავები, რომლებიც მრავალ წლიანი ნარგავებითაა დაკავებული. ასეთი არის 200 000 ჰექტარიც კი არა. მეორე საკითხია სახელმწიფო არასწორი და არაეფექტური დამოკიდებულება ამ დარგის მიმართ. საერთოდ, უცხოური ინვესტიციები პატარა ქვეყანაში, ისეთ ქვეყანაში სადაც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას დაბალი ფენა ეწევა, პირიქით, აჩანაგებს წვრილ ფერმებს, – აცხადებს კოღუაშვილი.

კოღუაშვილი ასევე საუბრობს უცხოურ პრაქტიკასა და იქაურ საინვესტიციო გარემოზე სოფლის მეურნეობის დარგში.

– ისეთი ქვეყანა, როგორიცაა აშშ, ისიც კი სიფრთხილით ეკიდება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. იქ კანონიც კი მიიღეს 1978 წელს უცხოური ინვესტიციების შესახებ სოფლის მეურნეობაში. ეს კანონი რომ ნახოთ, ნახავთ რომ კანონი მთლიანად მონიტორინგზეა აგებული. იქ მონიტორინგს ატარებენ სამი თვის თავზე, ექვსი თვის თავზე, 9 თვის თავზე და ერთი წლის თავზე. ინვესტიციის განმახორციელებელმა უნდა მოიპოვოს ფერმერის სტატუსი. ეს ეხება როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირს. ეს ყველაფერი რეესტრში ტარდება. გერმანიის მაგალითი რომ ვნახოთ, იქ სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ინვესტიცია შესაბამისობაში უნდა იყოს გერმანიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმასთან, სასურსათო უსაფრთხოების ინტერესებთან. იქ ინვესტორი ვერ გააკეთებს ამ შესაბამისობის თანხვედრის გარეშე ინვესტიციას. ამიტომ სიფრთხილეა საჭირო. სოფლის მეურნეობა სახელმწიფო დოტაციის სფეროა. თუ რამე გაკეთდება, მხოლოდ და მხოლოდ ერთობლივი საწარმოს სახით. საერთოდ ჩვენ არ უნდა ვიაროთ იმ გზით, რომ შპსები შევიყვანოთ სოფლებში. შპს სოფელში ფეოდალია. პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ სოფლის მეურნეობისათვის მიუღებელია. ჩვენი ამოცანა უნდა იყოს თითოეული სოფლის გადაქცევა მწარმოებელ ბრენდად. აი, ეს არის ამოცანა, – აცხადებს კოღუაშვილი.

# გარევაჭრობაზე ჯარიმები იზრდება

გარევაჭრობისთვის დედაქალაქის მერია რეგულაციების გამკაცრებას გეგმავს. უნებართვო გარევაჭრობა 20 ლარის ნაცვლად 50 ლარით დასჯადი ქმედება ხდება. განმეორებით შემთხვევაში, პირს 100 ლარის ნაცვლად 300 ლარით დააჯარიმებენ. კახი კალაძემ კანონპროექტი პარლამენტს უკვე გადაუგზავნა.

გარევაჭრობასთან დაკავშირებული ალტერნატიული კანონპროექტი უფლებადამცველმა ლაშა ჩხარტიშვილმაც მოამზადა. თუმცა პარლამენტმა ჩხარტიშვილის საკანონმდებლო წინადადება მიუღებლად ცნო.

– გარევაჭრობასთან ბრძოლას მე დანაშაულებრივ ქმედებას დავარქმევდი იმიტომ, რომ გარევაჭრობა უნდა იყოს მოწესრიგებული და არა აკრძალული. სამწუხაროდ, როგორც სააკაშვილის, ასევე ივანიშვილის ხელისუფლება დაკავებულია გარემოვაჭრეებთან ბრძოლით. ამ ადამიანებს ერთადერთი შემოსავლის გარეშე ტოვებენ. პარლამენტში მხარი არ დაუჭირეს ჩემი ავტორობით მომზადებულ კანონპროექტს, რომელიც გულისხმობდა საერთაშორისო პრაქტიკით გარევაჭრობისთვის ცივილიზებული სახის მიცემას, ამ ადამიანებისთვის სამუშაო ადგილების შენარჩუნებას და მომხმარებელთათვის დაბალ ფასიანი პროდუქციის მიწოდებას. ამის ნაცვლად ისინი წავიდნენ ნაცადი გზით და გარემოვაჭრეებს უდგებიან, როგორც სავაჭრო ქსელების კონკურენტებს, – განაცხადა ლაშა ჩხარტიშვილმა.



„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შემავალ ცვლილებას სისულელეს უწოდებს თბილისის მერობის ყოფილი კანდიდატი ალეკო ელისაშვილი. მისი თქმით, გასაკეთებელია ნომენკლატურა, რათა განისაზღვროს რითი და სად შეიძლება ვაჭრობა. ელისაშვილი აღნიშნავს, რომ გარევაჭრობა ურბანული ცხოვრების ჩვეულებრივი ნაწილია.

– გარევაჭრობას გამკაცრება და ბრძოლა კი არა, მოწესრიგება სჭირდება. გააჩნია სად, როგორ და რითი ვაჭრობ, ლურჯი ტენტით არ უნდა შემოლობოს რუსთაველის ძეგლი და იქ ახალდაკლული ხორცი არ უნდა გაყიდოს, ეს გასაგებია მაგრამ არის სხვა სახეობის პროდუქტი მაგალითად, ხილი რომლით ვაჭრობაც მისაღებია, მაგრამ კონკრეტულ ადგილას და კონკრეტული არქიტექტურული ფორმები უნდა ჰქონდეს ამ ყველაფერს. ამაზეა ლაპარაკი, ხელისუფლებაში რატომ ვერ მიხვდნენ ამას ეს ჩემთვის გაუგებარია. ახალი რეგულაციები ამაო ცდა იქნება, დატანჯავენ ცალკე ზედამხედველობის სამსახურს და ცალკე გარემოვაჭრეებს, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში აცხადებენ, რომ კანონმდებლობის შეცვლა მოსახლეობის მოთხოვნიდან გამომდინარეობდა. გიორგი ბაგრატიონის თქმით, გარევაჭრობის შედეგად გამოწვეულ პრობლემებზე ზედამხედველობის სამსახურის ცხელ ხაზზე უამრავი ზარი ხორციელდება.

– ერთწლიანმა პრაქტიკამ გვანახა ის, რომ ამ მიმართულებით საჭიროა სხვადასხვა სახის ცვლილებები. კანონმდებლობით გარევაჭრობა ერთი ჩანთის პრინციპით იყო დარეგულირებული. ახალ ჩვენ ეს დავყავით ორ ნაწილად. იმ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო ან მასზე მისაბმელი საშუალების, ან სხვა მექანიკურად მოძრავი საშუალების გამოყენებით მოხდება გარევაჭრობა, ჯარიმა დაახლოებით 1000 ლარი იქნება. ამ მიმართულებით ჩვენ ძალიან მკაცრები ვიქნებით. რაც შეეხება ერთი ჩანთის პრინციპს, ამ შემთხვევაში ჯარიმა 20 ლარის ნაცვლად 50 ლარით განისაზღვრება. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობდით არ დაგვეჯარიმებინა გარემოვაჭრეები, სიტყვიერად ვუხსნიდით და თუ არ დაგვემორჩილებოდნენ მაშინ ხდებოდა კონფისკაცია. ეს ცვლილებები არის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ჩვენი ქალაქისთვის, –განაცხადა გიორგი ბაგრატიონმა

მერია გარემოვაჭრეებისთვის ალტერნატიული ფართის გამოყოფას გეგმავს, თუმცა კანონპროექტის დამტკიცებამდე მერიასა და გარემოვაჭრეებს შორის შესაძლოა მოლაპარაკებები გაიმართოს.

## ლაშა პაპაშვილი: „12 წელია, სეზონური დაბეგვრისთვის ვიბრძვით“

წლებია ბიზნესის წარმომადგენლები რეგიონებში მდებარე სასტუმროების სეზონური დაბეგვრის აუცილებლობაზე საუბრობენ. ისინი აცხადებენ, რომ სასტუმროებს, რომლებიც რეგიონებში მდებარეობს და ტურისტული სეზონიდან გამომდინარე მუშაობა 2-3 თვე აქვთ, სახელმწიფოსთვის მოგებისა და ქონების გადასახადის გადახდა 12 თვის განმავლობაში უწევთ.



ეს საკითხი ახალი ფინანსთა მინისტრის პირობებშიც აქტუალურია. როგორც ბიზნესმენი აცხადებს, ამ საკითხზე საუბარი უკვე 12 წელია მიმდინარეობს.

– 12 წელია, ამისთვის ვიბრძვით. ჯერ კიდევ არ არის „ჰორეკა“ მიმართულება ჩვენს ქვეყანაში განვითარებული. წარმოიდგინეთ დაკეტილი გაქვს სასტუმრო პრაქტიკულად და გადასახადს მაინც იხდი. ბიზნესისთვის მძიმე და დამანგრეველი არ არის, მაგრამ არც სამართლიანია, – განაცხადა ლაშა პაპაშვილმა.

# სამუშაო ადგილებზე მომხდარ უბედურ შემთხვევებზე სასამართლომ პატიმრობა მხოლოდ 3 ფაქტზე გამოიყენა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მხოლოდ 2017 წელს, წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა 47 და დაშავდა 106 ადამიანი. ამის შესახებ სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიშშია ნათქვამი.

– შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოთხოვილი სტატისტიკური მონაცემები მიუთითებს, რომ, 2017 წლის განმავლობაში, წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევების შესახებ დაწყებული გამოძიების 128 შემთხვევიდან სასამართლოში წარიმართა მხოლოდ 11 საქმე, გამოძიება შეწყდა 36 შემთხვევაში, 81 შემთხვევაში კი გამოძიება დღემდე მიმდინარეობს, აქედან სისხლისსამართლებრივი დევნა 13 შემთხვევაშია დაწყებული. სახალხო დამცველი ხაზს უსვამს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან აღნიშნულ შემთხვევებზე დროული და ეფექტური გამოძიების წარმოების აუცილებლობას, – აღნიშნულია ანგარიშში.

როგორც ანგარიშში ვკითხულობთ, საინტერესო მონაცემები გამოიკვეთა საქალაქო და რაიონული სასამართლოებიდან გამოთხოვილი საბოლოო გადაწყვეტილებების შესწავლის შედეგად.

კერძოდ, ანგარიშის თანახმად, 2015 წლის პირველი იანვრიდან 2017 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის ფაქტებთან დაკავშირებით საქართველოს საერთო სასამართლოებში განხილული 90 საქმის ფარგლებში რეალური სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ 3 შემთხვევაში განისაზღვრა.

– არსებითი განხილვის შედეგად, გამამტყუნებელი განაჩენი კიდევ 20 საქმეზე დადგა. საქმეთა 72,2% (65 საქმე), არსებითი განხილვის გარეშე, საპროცესო შეთანხმების დადებით დასრულდა. 1 საქმესთან დაკავშირებით ბრალდებული პირი გამართლდა, 1 საქმე კი, განრიდების გამოყენების მიზნით, დაუბრუნდა რაიონულ პროკურატურას. დაკისრებული ჯარიმის ოდენობა 500-დან 5.000 ლარამდე მერყეობს.

საყურადღებოა, რომ მსგავსი შემთხვევებისას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის, საჭიროა სახეზე იყოს სხვა ნორმატიული აქტით დადგენილი ნორმების დარღვევა იმის მიერ, ვისაც ამ ნორმების დაცვა ევალებოდა.

სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ, ხშირ შემთხვევაში, შესაბამისი წესები მოიპოვება მხოლოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის 1992 წლამდე მოქმედ და შემდგომ პერიოდში მოდიფიცირებულ სამშენებლო ნორმებში ან პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება ცალკეულ დამსაქმებელთა მიერ შედგენილი შიდა დოკუმენტაციის საფუძველზე, ამასთან, უსაფრთხოების წესები გაბნეულია სხვადასხვა საწარმოო პროცესის მარეგულირებელ სპეციალურ აქტებში, რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, პრაქტიკული საქმიანობისას სირთულეებს წარმოშობს.



სასამართლოებიდან მიღებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ შრომის უსაფრთხოების დარღვევასთან დაკავშირებულ საქმეებში, გარკვეულ შემთხვევებში, პასუხისმგებელ პირად მოიაზრება სამუშაოს უშუალოდ შემსრულებელი, იშვიათ შემთხვევებში – სამუშაოს დამკვეთი ან სამშენებლო კომპანიის/საწარმოს დირექტორი, უმეტეს შემთხვევაში კი – სამუშაოთა მწარმოებელი. ამასთან, ამ უკანასკნელის იდენტიფიცირება ყოველთვის ვერ ხერხდება, – აღნიშნულია ანგარიშში.

# „საავტომობილო გზების დეპარტამენტში სისტემური პრობლემებია. სეთურიძის შეცვლას ეფექტი არ ექნება“



საავტომობილო გზების დეპარტამენტს ახალი თავმჯდომარე ჰყავს. გიორგი სეთურიძე ირაკლი ქარსელაძემ შეცვალა. გადაწყვეტილება ინფრასტრუქტურის ახალმა მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა მიიღო.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე ამბობს, რომ თანამდებობა საკუთარი სურვილით დატოვა. გიორგი სეთურიძე ბოლო პერიოდში ტენდერების მიკერძოებულ ჩატარებაში დაადანაშაულეს, თუმცა თავად დეპარტამენტში კორუფციის არსებობას გამორიცხავს და ამბობს, რომ მის უწყებაში ყველა ტენდერი გამჭვირვალე იყო.

ამ თემაზე ისაუბრა რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „კომერსანტის თემა სალომე სოსელიასთან ერთად“ ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთან ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა **გიორგი კაპანაძემ.** აფბამ რამდენიმე შუალედური ანგარიში მიუძღვნა ინფრასტრუქტურულ ტენდერებს. ისინი საუბრობდნენ იმ დარღვევებზე, რომელიც, მათი შეფასებით, ფიქსირდებოდა საავტომობილო გზების დეპარტამენტში.

***– რამდენად კმაყოფილი ხართ ცვლილებებით და რა დარღვევები აღმოაჩინეთ კონკრეტულად საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტენდერებთან დაკავშირებით?***

– ჩვენ ინფრასტრუქტურის ახალ მინისტრს მივმართეთ, რომ მას საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე შეეცვალა, ვინაიდან ეს იყო სტრუქტურა, სადაც ხარვეზები ყველაზე ხშირად ფიქსირდებოდა. ტენდერები, ერთი მხრივ, გამჭვირვალედ ტარდებოდა, გამარჯვებული კომპანიები ვლინდებოდა, თუმცა შემდეგ ეს კომპანიები აღნიშნულ ტენდერში ცვლილებებს ითხოვდნენ და ყოველგვარი დასაბუთების, საკითხის შესწავლის გარეშე, არსებული პირობების გაუთვალისწინებლად, საავტომობილო გზების დეპარტამენტის კომისია ერთპიროვნულად იღებდა გადაწყვეტილებას და ახდენდა ცვლილებებს უკვე არსებულ ტენდერში. ასე ხდებოდა პროექტის შეცვლა.

ერთ-ერთ ძვირადღირებულ პროექტზე, რომელიც იყო სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთი, ჩვენ დავინახეთ, რომ გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ საავტომობილო გზების დეპარტამენტმა შეცვალა არსებული სატენდერო პირობები და იქ ბეტონის ხიმინჯების ნაცვლად წყლის ფითილები დააყენეს, ამ ყველაფერმა მოგვცა ის შედეგი, რომ გზები არის წყალში ჩაძირული, ხიდები ნახევრად დაფარულია და ყველაფერი კეთდება უხარისხოდ. მისასალმებელია ის, რომ მინისტრმა ცვლილებები განახორციელა, ახალ მნიშვნელოვანია მოხდეს ამ საკითხების შესწავლა, გაირკვეს რა დარღვევები იყო ამ მიმართულებით და გადადგეს ქმედითი ნაბიჯები, რათა გამოსწორდეს უკვე არსებული დარღვევები და აღარ გაგრძელდეს პრაქტიკა ტენდერებში ცვლილებების მიმართულებით, რადგან ხშირ შემთხვევაში ვხარჯავდით უამრავ ფულს – ბიუჯეტის თუ საერთაშორისო ორგანიზაციების გადმორიცხულ თანხებს, რომელიც უმიზნოდ იფლანგება.

***– თქვენ ამბობთ, რომ გიორგი სეთურიძის მმართველობის პერიოდში კონკრეტული ზარალი ბიუჯეტს მიადგა იმის გამო, რომ ტენდერები სხვადასხვა სქემით ტარდებოდა? თანხები დათვლადია თუ რთული იქნება ამის დოკუმენტურად დამტკიცება?***

– დიახ, ბიუჯეტის თანხები არ იხარჯებოდა ყაირათიანად. ხდებოდა ცვლილებები, რომელიც არ იყო გამართლებული. ამ ეტაპზე მართალია, მიმდინარეობს მშენებლობა, თუმცა, დარწმუნებული ვარ, სიტუაცია თუ არ გამოსწორდა ჩვენ იქ ამ მაგისტრალებს ვერ მივიღებთ და ეს თანხები წყალში იქნება გადაყრილი ან გვექნება მაგისტრალი, რომელიც მალევე იქნება გასაკეთებელი. ამის შესახებ ჩვენ გვაქვს დოკუმენტები, რომლებსაც პერიოდულად ვასაჯაროებთ, ვინაიდან კვლევა არ დაგვიმთავრებია. არ დაგვიმთავრებია იქიდან გამომდინარე, რომ ნელა გვაწვდიან ინფორმაციას, რასაც ვითხოვთ ამ თუ იმ სააგენტოს ან სამინისტროს მხრიდან, ჩვენ რა დოკუმენტებიც გვაქვს, მივაწვდით ახალ მინისტრს. გარდა ამისა, მას მოვთხოვთ, რომ მოხდეს ამ საკითხების შესწავლა და გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები, რაც არსებულ სიტუაციას გამოასწორებს ან უკეთესი მიმართულებით წაიყვანს.

***– თქვენი აზრით, საქმე ერთ პირში ანუ გიორგი სეთურიძეში იყო თუ დღემდე ტენდერებთან დაკავშირებით მანკიერი სისტემა არსებობს?***

– ბუნებრივია, ეს ერთ ადამიანზე ვერ იქნებოდა დამოკიდებული, ვინაიდან ამხელა ტენდერებს და ამხელა თანხების ხარჯვას ერთი პირი ერთპიროვნულად ვერ გადაწყვეტდა. ეს იყო სისტემური ხასიათის. უბრალოდ, მთავარი პრობლემა არსებობდა სწორედ ამ დეპარტამენტში. სწორედ დეპარტამენტის თავმჯდომარის და მისი მოადგილეების მიერ იქნება მიღებული ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებმაც არ გაამართლა და სერიოზული პრობლემები შექმნა გზების მიმართულებით. მართალია, შეიცვალა ერთი კონკრეტული პიროვნება, თუმცა, თუ იქ არსებული პრაქტიკა არ დაინგრა, გიორგი სეთურიძის შეცვლას ეფექტი არ ექნება.

***– თქვენი აზრით, რამდენად სწორად არის შერჩეული ირაკლი ქარსელაძე?***

– მას მოუწევს ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რათა გამოასწოროს არსებული პრაქტიკა. ჩემი აზრით, მისასალმებელია მის კანდიდატურა, ეს იყო ერთ-ერთი მაღალი რგოლის თანამდებობის პირი თანაინვესტირების ფონდში იყო. როგორც ჩანს ხელისუფლება მიხვდა, რომ ეს არის მნიშვნელოვანი სტრუქტურა, რომელსაც სჭირდება კვალიფიციური და ძლიერი ხელმძღვანელი. პირველ ეტაპზე მისასალმებელია მისი კანდიდატურა. დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს, რა ნაბიჯებს გადადგამს სხვადასხვა მიმართულებით.

**კომერსანტი**

# საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი ტვირთმფლობელებისთვის მიმზიდველი აღარ არის

– ბათუმის ნავსადგურში ტვირთების გატარების პიკური მაჩვენებელი 2006 წელს ფიქსირდება 13.1 მლნ ტონა (სველი და მშრალი ტვირთები ერთად), 2017 წელი – 4.2 მლნ ტონა. ჯამში კი მოცულობა 3.1-ჯერ შემცირდა. მშრალ ტვირთებს თუ გამოვყოფთ, ტვირთების გატარების პიკური მაჩვენებელი ასე გამოიყურება: 2012 – 1.6. მლნ ტონა, 2013 წელი– 1.7 მლნ ტონა, 2014 წელი – 1.2. მლნ ტონა, 2015 წელი – 1.0 მლნ ტონა, 2016 წელი – 0.9 მლნ ტონა, 2017 წელი – 0.8 მლნ ტონა. ციფრები ნათლად აჩვენებს, რომ ტვირთბრუნვა, ფაქტობრივად, განახევრებულია, – ასე აფასებს ბათუმის ნავსადგურში არსებულ ვითარებას „hub Georgia“-ს დამფუძნებელი ვასილ ურუშაძე.



მისი თქმით, მდგომარეობა საგანგაშოა და ამას რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებს. ვასილ ურუშაძე მთავარ პრობლემას ტრანსპორტის სექტორში არსებულ კრიზისში ხედავს, რის შედეგადაც დღეს საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი ტვირთმფლობელებისთვის მიმზიდველი აღარ არის. როგორც „hub Georgia“-ს დამფუძნებელმა „კომერსანტთან“ აღნიშნა, ტრანსპორტის მიმართულებაში დღეს არის არაფორმალური მმართველობა, რის გამოც ტვირთმფლობელებს ექმნებათ სხვადასხვა ხელოვნური ბარიერი დამატებითი გადასახადის, ქრთამისა და არაფორმალური მოსაკრებლის სახით. შედეგად ტვირთმბრუნველიც სხვა, ალტერანტიულ გზას პოულობს.

– აი, მაგალითად, 2016 წელს საქართველოს რკინიგზის მიერ დაანონსებული ინიციატივა ეხებოდა 4.6 მილიონ ტონა ნავთობის ტრანსპორტირებას თურქმენეთიდან. საუბარი იყო კომპანია „დრაგონ ოილზე“. მაშინ ყველა ზეიმობდა, რომ თურქმენული ნავთობი კვლავ საქართველოს სატრანსპორტო დერეფანს დაუბრუნდა. დღეს კი ვხედავთ პროცესებს, რომ მას შემდეგ გავიდა ერთ წელზე მეტი და აღნიშნული კომპანიის არცერთი ლიტრი ნავთობპროდუქტებისა საქართველოს სატრანსპორტო დერეფანში არ წამოსულა, რადგან აღნიშნული მიმართულების თვალსაზრისით სხვადასხვა არაფორმალური თუ ფორმალური პირების მიერ იყო დიდი პირადი დაინტერესება. შედეგად ტვირთმფლობელმაც იპოვა ალტერნატიული მარშრუტი, სადაც დამატებითი ხელოვნური ბარიერების გადალახვა არ უწევს. დღეს აღნიშნული ნავთობპროდუქტები მიდის თურქმენეთიდან ირანის გავლით და შემდგომ უკვე ჩადის ადრესატამდე ევროპის ქვეყნებში. ეს მაგალითი კარგად აჩვენებს აღნიშნულ სექტორში არსებულ კორუფციულ სქემას, – განმარტავს ურუშაძე.

რაც შეეხება პრობლემის მოგვარების გზებს, ვასილ ურუშაძე ბათუმის ნავსადგურში არსებული ვითარების გამოსწორებას მთლიანი სატრანსპორტო პოლიტიკის შეცვლაში ხედავს. მისი თქმით, პირველ რიგში, აუცილებელია ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებული სატრანსპორტო დეპარტამენტი შეუერთდეს ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ჩამოყალიბდეს ერთიანი სტრატეგიული გეგმა და მოხდეს სრული რეორგანიზაცია.

– დღეს ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაშია 52 უწყება, სადაც დასაქმებულნი არიან არაკვალიფიციური კადრები და ეს უწყება არის სრულიად არაეფექტიანი. საჭიროა, ტრანსპორტის დეპარტამენტი შეუერთდეს ინფრასტრუქტურის სამინისტროს და უკვე შემდგომ მოხდეს რეორგანიზაცია, რადგან უწყებაში ძალიან ბევრი ნეპოტიზმით დასაქმებული კადრია. ამასთან საჭიროა ჩამოყალიბდეს ერთიანი გრძელვადიანი სტრატეგია, რომლის მიზანიც იქნება საქართველოს რეგიონულ და ლოჯისტიკურ ჰაბად ჩამოყალიბება. უნდა გატარდეს რეფორმები როგორც ინფრასტრუქტურის, ასევე საზღვაო, საჰაერო და საავტომობილო კუთხითაც.

დღეს ტრანსპორტის სექტორი ოკუპირებულია არაფორმალური მმართველობის მიერ, რის შედეგადაც განახევრებულია ტვირთბრუნვაც და მთლიანად კრიზისია სექტორში, – განმარტავს ურუშაძე.

# პრემიერის ახალი ინიციატივა განსაკუთრებით ირანელ და თურქ ინვესტორებს მოიზიდავს

– მივესალმები მსგავს ინიციატივებს. ეს ხელს უწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას რეგიონში და უშუალოდ აისახება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდაში, – ასე აფასებს „ალიანს ჯგუფი ჰოლდინგის“ აღმასრულებელი დირექტორი აიეტი კუკავა პრემიერ-მინისტრის ახალ ინიციატივას, რომელიც არარეზიდენტი პირების მიერ საქართველოში კომპანიების ონლაინრეჟიმში დარეგისტრირებასა და საბანკო სისტემაში ანგარიშების გახსნის შესაძლებლობას ითვალისწინებს.

მისი განმარტებით, მთავრობის ეს ინიციატივა პოზიტიურია განსაკუთრებით იმ ეტაპზე, როდესაც რეგიონის ქვეყნებში არასტაბილურობის განცდაა, ირანის, თურქეთის ინვესტორებისთვის შედარებით სტაბილური გარემოა და ქვეყანა სარგებლობს ევროგაერთიანებისა და აშშ-ის კეთილგანწყობით.

– ამის გარდა, ქვეყანას აქვს სერიოზული შანსი გახდეს რეგიონის ფინანსური და ბიზნესცენტრი, რისთვისაც მთავრობამ მუდმივად უნდა გაზარდოს ქვეყნის მიმზიდველობა რათა შეინარჩუნოს და გააძლიეროს რეგიონში



ბიზნესისათვის ყველაზე მიმზიდველი ქვეყნის სტატუსი. ვისურვებდი ეს პროცესი კიდევ მეტი ინტენსიურობით გაგრძელდეს, – აცხადებს კუკავა.

მისივე ინფორმაციით, განსაკუთრებით ირანელი და თურქი ინვესტორების მოზიდვა ქართულ ბიზნესს მინიმუმ ორი მიმართულებით არგებს: 1.ეს არის დიდი ფულადი მასის მოზიდვა ქვეყანაში, რაც საინვესტიციო კაპიტალს გააიაფებს და ეკონომიკის კონკრეტული დარგების გარდა საბანკო საფინანსო სფეროსაც გააძლიერებს 2. ამ ქვეყნებში 80-80 მილიონი მოსახლეობა ცხოვრობს, რითაც ქართულ კომპანიებს გაუადვილდებათ ბაზარზე წვდომა და ეს მათი ირანელი და თურქი პარტნიორების მეშვეობითაც ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდის საწინდარია.

# ირაკლი კოვზანაძე: „მაკროეკონომიკური მაჩვენებლები ადასტურებს, რომ სწორი გზით მივდივართ“

2018 წელს საქართველოს ეკონომიკა, სულ მცირე, 5%-ით გაიზრდება, – განაცხადა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძემ გუშინ ქუთაისში, პარლამენტის პლენარულ სესიაზე.

– 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დაგეგმილია ეკონომიკის 4.5%-იან ზრდაზე, თუმცა, იანვარ-თებერვლის მშპ-ის რეალურმა ზრდამ უკვე 4.9% შეადგინა, მხოლოდ თებერვალში აღნიშნულმა მაჩვენებელმა 5.5%-ს მიაღწია. საგარეო სავაჭრო ბრუნვა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, გაზრდილია 16.3%-ით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ წელსაც შენარჩუნებულია ექსპორტის იმპორტთან შედარებით მკვეთრი ზრდის ტენდენცია, – აღნიშნა კომიტეტის თავმჯდომარემ.

ირაკლი კოვზანაძის თქმით, საქართველოში ინფლაციის დონე მცირდება და წელს, სავარაუდოდ, სამიზნე მაჩვენებელს მიუახლოვდება.

– გასულ წელს ჩვენი ეკონომიკისა და საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხი იყო სამომხმარებლო ფასების, ინფლაციის ზრდა. სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გუშინ მარტის მონაცემები გამოაქვეყნა, რომლის მიხედვით, ინფლაციის დონემ -0.4% შეადგინა, ანუ, დეფლაცია დაფიქსირდა, წლიურმა ინფლაციამ კი 2.8% შეადგინა. შეგახსენებთ, რომ ეროვნული ბანკის ინფლაციის თარგეთი წელს 3%-ით განისაზღვრა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტი 3.5%-ზეა გათვლილი. ვფიქრობ, ინფლაცია მიმდინარე წელს დაგეგმილ ფარგლებში იქნება, – აღნიშნა ირაკლი კოვზანაძემ.

კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, 2017 წელს საქართველოს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 8.7%-მდე შემცირდა, მაშინ როდესაც აღნიშნული მაჩვენებელი წლების განმავლობაში 12%-ის ფარგლებში მერყეობდა.

– მიმდინარე ანგარიშის დეფი-



ციტის შემცირება განაპირობა ექსპორტის იმპორტთან შედარებით და ტურიზმიდან შემოსავლების, ასევე უცხოეთიდან ფულადი გზავნილების მოცულობის ზრდამ. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი გაუმჯობესდა 530 მილიონი დოლარით, პირადად მე მიმაჩნია, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირების ტენდენცია წელსაც გაგრძელდება და ქვეყანაში მაკროეკონომიკურ და სავალუტო სტაბილურობას უზრუნველყოფს, – განაცხადა ირაკლი კოვზანაძემ.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ მიმოიხილა 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ტემპებიც და აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, ოპერატიული მონაცემებით, ბიუჯეტის შემოსულობებმა 2 მლრდ. 961 მლნ. ლარი შეადგინა და გეგმა 213 მილიონი ლარის გადაჭარბებით შესრულდა.

– ჩვენ სწორი კურსი გვაქვს აღებული, სწორი გზით მივდივართ და ეს საქართველოს მთავრობის, პარლამენტისა და ეროვნული ბანკის ერთობლივი და კოორდინირებული მუშაობის შედეგია, – განაცხადა ირაკლი კოვზანაძემ პარლამენტის პლენარულ სესიაზე.

## აზერბაიჯანში საქართველოს მოქალაქე დაიღუპა

ბაქო-ასტარას ავტომაგისტრალზე ავარიის შედეგად საქართველოს მოქალაქე გარდაიცვალა. „MAN“-ისა და „KAMAZ“-ის ტიპის სატვირთო ავტომობილების შეჯახებისას ერთ-ერთი სატვირთოს მძღოლი, 55 წლამდე მამაკაცი დაიღუპა. შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო და სამაშველო ეკიპაჟები. ავარიის შედეგად „MAN“-ის სატვირთო ავტომობილის ავზიდან 50 ტონა ნავთობი დაიღვარა.

მომხდარზე აზერბაიჯანის საგზაო პოლიციამ გამოძიება დაიწყო.

## ივანიშვილის ხის გადატანისას დაკავებული ენმ-ს წევრები გაათავისუფლეს



ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები, რეზო ხარაზი და სოლომონ ბაჯელიძე, ბათუმის საქალაქო სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლეს. მოსამართლის გადაწყვეტილებით, ენმ-ს წევრებს მტკიცებულებების მოძიებისა და ადვოკატის აყვანისათვის ერთდღიანი ვადა მიეცათ.

ქობულეთში, სოფელ ხუცუბანიდან გურიაში ხის გადატანისას ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები სოლომონ ბაჯელიძე და რეზო ხარაზი გუშინ დააკავეს.

## ფალსიფიცირებული ვისკის „ჯეკ დენიელსის“ დამზადების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ფალსიფიცირებული ალკოჰოლური სასმელის დამზადება-გასაღებისა და ყალბი აქციზური მარკების გამოყენების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, გამოძიებით დადგინდა, რომ აჭარის რეგიონში ბრალდებული ყალბი აქციზური მარკებით ნიშანდებული, კუსტარულად დამზადებული ფალსიფიცირებული ალკოჰოლური სასმელის – ვისკი „ჯეკ დენიელსის“ რეალიზაციას ახდენდა.

მათივე ინფორმაციით, საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულია ყალბი აქციზური მარკებით ნიშანდებული 87 ბოთლი ვისკი და 93 ერთეული ყალბი აქციზური მარკა.

როგორც უწყებაში აცხადებენ, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლის და მე-200 პრიმა მუხლის პირველი ნაწილებით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას 2-დან 4 წლამდე ვადით ითვალისწინებს.

## სადახლოზე და თბილისის აეროპორტში არადეკლარირებული ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობები აღმოაჩინეს

სადახლოზე და თბილისის აეროპორტში 43.309 ლარის ღირებულების არადეკლარირებული ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობები აღმოაჩინეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, 2 მარტიდან 5 აპრილის ჩათვლით საბაჟო-გამშვებ პუნქტებში „სადახლო-საავტომობილო“ და „თბილისის აეროპორტი“ დიდი ოდენობით ოქროსა და ვერცხლის საიუველირო ნაკეთობების ქვეყნის საზღვარზე უკანონოდ შემოტანის ფაქტები აღიკვეთა.

– ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, რუსეთისა და საქართველოს მოქალაქეების რ.გ-ს, კ.რ-სა და გ.ტ-ს ფიზიკური დათვალიერებისას, ოქროს (ჯამში 374,59 გრ.) და ვერცხლის (ჯამში 7,63 კგ.) ნაკეთობები აღმოაჩინეს. საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ, საერთო ჯამში 43,309.88 ლარი შეადგინა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევ მოქალაქეებს სანქციის სახით ფულადი ჯარიმა 43,309.88 ლარის ოდენობით შეეფარდათ, – ნათქვამია შემოსავლების სამსახურის განცხადებაში.

# მოზარდების მკვლელობა – ერთ-ერთ მოწმეს მოკლულთან მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა

სასამართლოში ორი პარალელური პროცესი გაიმართა.

ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე ბრალდების მხარის ორი მოწმე დაიკითხება, რომელიც გასული წლის პირველ დეკემბერს მკვლელობის ადგილზე იმყოფებოდა.

– ისინი იმყოფებოდნენ ხორავას ქუჩაზე განვითარებული მოვლენების დროს შემთხვევის ადგილზე და ისაუბრებენ იმ გარემოებებზე, რაც თვითონ ნახეს. ისინი ისაუბრებენ იმ დეტალებზე, რაც მოხდა ხორავას ქუჩაზე...

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მოწმეს, რომლის ტანსაცმელზე ამოვიდა ერთ-ერთი გარდაცვლილის დნმ-ის შემადგენლობა, ანუ სისხლი, მას პირადად, მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა ერთ-ერთ გარდაცვლილთან, რომლის სისხლი ამოვიდა მის ტანსაცმელზე. რაც შეეხება იმ ვერსიას, რომ მას არ ჰქონია კონტაქტი და როგორ აღმოჩნდა მის ტანსაცმელზე სისხლი, ეს არ შეესაბამება რეალობას, ეს არის საზოგადოებაში არასწორი ინფორმაციის გავრცელების მცდელობა, – განაცხადა საქმის პროკურორმა ზვიად ფხაკაძემ.



თავის მხრივ, დაცვის მხარეს აქვს მოლოდინი, რომ დღევანდელი მოწმეებიც შეცვლიან ჩვენებებს.

– იმის გათვალისწინებით, რომ აქამდე დაკითხულმა ყველა მოწმემ შეცვალა გამოძიებაში მიცემული ჩვენება, ჩვენი მოლოდინიც იგივეა, რომ სავარაუდოდ დღევანდელი მოწმეებიც იგივეს გააკეთებენ. მოწმე, რომელიც რამდენჯერმე ცვლის ჩვენებას, ის ნაკლებად სანდო მოწმეა. აქ ჩვენი აზრით ადგილი აქვს პროკურატურის მითითებას მოწმეებზე, თუ რა ჩვენებები უნდა მისცენ მათ სასამართლოში. დასკვნით სიტყვაში გავაანალიზებთ ყველა მტკიცებულებას და დავასაბუთებთ, რომ მოწმეთა ჩვენებები არ შეესაბამება სინამდვილეს, – განაცხადა ერთ-ერთი ბრალდებულის ადვოკატმა ტარიელ კაკაბაძემ.

ადვოკატის თქმით, ინფორმაცია, რომ პირს, რომლის ტანსაცმელზე ამოვიდა დნმ, გარდაცვლილთან შემხებლობა ჰქონდა, სიმართლეს არ შეესაბამება.

– მოწმე, რომელიც რამდენჯერმე ცვლის ჩვენებას, ის მოწმე არის ნაკლებად სანდო. ადგილი აქვს პროკურატურის მითითებას მოწმეებზე, თუ რა ჩვენებები უნდა მისცენ სასამართლოში. შესაბამისად, მათი ჩვენებები ხშირ შემთხვევაში იმ რეალობისგან განსხვავდება, რაც სინამდვილეში მოხდა, – განაცხადა ადვოკატმა, ტარიელ კაკაბაძემ.

ცნობისთვის, ხორავას ქუჩაზე მომხდარი სისხლიანი გარჩევის საქმეზე საქალაქო სასამართლოში ორ პარალელურ პროცესზე მსჯელობენ.

მეორე პროცესზე 5 ბრალდებულის საქმეს განიხილავენ, რომლებსაც დანაშაულის დაფარვას ედავებიან.

დაცვის მხარე ბრალდებული არასრულწლოვნების ადვოკატებისა და მოკლულის ოჯახის წევრების მიერ გაჟღერებულ ინფორმაციას გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც კალანდიას შვილი, რომელიც ხორავას ქუჩაზე ინციდენტში მონაწილეობდა, შესაძლოა მკვლელობის საქმეში დამნაშავე იყოს.

– მის შვილს აღნიშნული ქმედება, რასაც ტელევიზიები აჟღერებენ, არ განუხორციელებია. ეს რომ განეხორციელებინა, ის ბიჭი გარეთ არ იქნებოდა, – განაცხადა ადვოკატმა დარეჯან ბუცხრიკიძემ.

# ნათია მეზვრიშვილი: „სკოლაში პოლიცია არ შედის“

გარკვეული შიშები იმასთან დაკავშირებით, თითქოს სკოლაში შედის პოლიცია, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნათია მეზვრიშვილმა პარლამენტში განაცხადა, სადაც კომენტარი გააკეთა „ზოგადი განათლების“ კანონში შესატან ცვლილებებზე.

მისივე თქმით, კანონპროექტის თანახმად, ყველა იმ ქმედებაში, რომლებსაც მანდატური განახორციელებს, ეს იქნება მოსწავლეების განცალკევება თუ მეტალოდეტექტორით ზედაპირული დათვალიერება, მოხდება მოზარდის მშობლის ინფორმირება და სკოლის წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას.

– მთავრობის სხდომაზე წარვადგინეთ ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი „ზოგადი განათლების“ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც მანდატურის სამსახურის რეფორმირებას ითვალისწინებს. ამ კანონპროექტზე ჩვენ ერთობლივად ვიმუშავეთ განათლების სამინისტროსთან. კანონპროექტის ძირითადი მიზანი როგორც სკოლებში, ისე სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, უსაფრთხოების გაძლიერებაა, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. კანონპროექტი მოზარდებში დანაშაულის პრევენციის მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროსა და განათლების სამინისტროს, ასევე, მანდატურის სამსახურს შორის კოორდინაციის გაზრდას ითვალისწინებს. ამ კანონპროექტის მიხედვით ყველა სკოლაში სავალდებულო იქნება კამერების დამონტაჟება, როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრზე.

მანდატური შეიძენს მნიშვნელოვან უფლებამოსილებებს, მათ შორის მოსწავლეების განცალკევების უფლებას, რაც გულისხმობს იმას, რომ თუ მოზარდებს შორის კონფლიქტური სიტუაცია, მას შეეძლება კონფლიქტის დეესკალაციის მიზნით მოსწავლეები ერთმანეთისგან განაცალკევოს, მათთვის ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად შესაბამის გარემოში. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ განცალკევების პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, ჩაერთვებიან ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები და სკოლის წარმომადგენლები. ამიტომ გარკვეული შიშები იმასთან დაკავშირებით, თითქოს სკოლაში შედის პოლიცია, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ყველა იმ ქმედებაში, რასაც მანდატური განახორციელებს, ეს იქნება განცალკევება თუ მეტალოდეტექტორით ზედაპირული დათვალიერება, მოხდება მოზარდის მშობლის ინფორმირება და მონაწილეობას მიიღებს სკოლის წარმომადგენელი.



მანდატურის დამოუკიდებლობა მნიშვნელოვნად იზრდება, მისი თანამდებობაზე დანიშვნა და გათავისუფლება მოხდება მანდატურის სამსახურის მიერ. ასევე, გარკვეული მოთხოვნები უწესდება მანდატურის კანდიდატს, ანუ თანამდებობაზე დასანიშნ პირს. ისინი იქნებიან 21 წელს მიღწეული პირები, რომლებსაც განსხვავებით დღეს არსებული კანონმდებლობისგან, უნდა ჰქონდეთ ან უმაღლესი განათლება ან ზოგადი და პროფესიული განათლება.

ეს არის კანონპროექტი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სახალხო დამცველის, ფსიქოლოგების, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ანუ ყველა ის ადამიანი, ვისაც ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით რამე გამოცდილება გააჩნია. ყველას მოსაზრება ასახული და გათვალისწინებულია. ბალანსი საპოლიციო ფუნქციებსა და მანდატურის უფლებამოსილებას შორის დაცულია და მკაფიოდ არის ზღვარი გავლებული.

მეტალოდეტექტორით გარეგანი დათვალიერება არის საკმაოდ აპრობირებული მეთოდი. სწორედ ამიტომ პირდაპირ წერია კანონპროექტში უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება. ასევე მანდატურის იმავე სქესის წარმომადგენელმა, სადაც ეს შესაძლებელია, უნდა განახორციელოს უკონტაქტო დათვალიერება მეტალოდეტექტორების გამოყენებით და მაქსიმალურად იქნება ამ პროცესებში დაცული მოზარდების უფლებები. მანდატური იზრუნებს უსაფრთხოებაზე, თუმცა საჭიროების შემთხვევაში პროცესებში მონაწილეობას მიიღებენ ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები, სკოლის წარმომადგენლები და ბავშვების ჩართვა სხვადასხვა სასკოლო პროგრამებში და აქტივობებში იქნება უზრუნველყოფილი.

ერთი მხრივ, ვიცავთ უსაფრთხოებას სკოლაში და მიმდებარე ტერიტორიაზე, ინფორმაციის მიმოცვლა შს სამინისტროსა და მანდატურის სამსახურს შორის, ინფორმაციის მიმოცვლა ხდება უფრო კოორდინირებულად და მეორე მხრივ სასკოლო და სხვა აქტივობებში მოზარდების გადამისამართებით ვზრუნავთ მათში დანაშაულის პრევენციაზე, – აღნიშნა ნათია მეზვრიშვილმა, რომლის განცხადებას შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს.

# მორაგბე გიორგი ლომინაძე: „სულ ერთად ვართ და მერაბ კვირიკაშვილს ჩქარა არასდროს უვლია“

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მორაგბე მერაბ კვირიკაშვილის მორიგ პროცესზე მისი მეგობარი, ასევე მორაგბე გიორგი ლომინაძე დაიკითხა, რომელიც ავტოსაგზაო შემთხვევის დროს ავტომობილში იმყოფებოდა.

როგორც გიორგი ლომინაძემ აღნიშნა, ავტოსაგზაო შემთხვევის დროს ტელეფონში იხედებოდა და დეტალები არ იცის, თუმცა აცხადებს, რომ ავტომობილი მშვიდად მოძრაობდა, „რა დროსაც რაღაც დაბრკოლების გამო მერაბ კვირიკაშვილმა მანევრი შეასრულა, რის შემდეგაც მოხდა შეჯახება“.

პროკურორის კითხვაზე, თუ ტელეფონში იხედებოდა, როგორ შეამჩნია დაბრკოლება რომ იყო, ლომინაძე განმარტავს, რომ მან ეს ავტომობილის მოძრაობით იგრძნო.

პროკურორმა მოწმეს პირველი ჩვენება შეახსენა, სადაც ის ამბობდა, რომ არ ახსოვდა, რა სიჩქარით მოძრაობდა ავტომობილი და



თავდაპირველად არ უთქვამს დაბრკოლების შესახებ. ამის გამო პროკურორმა მიიჩნია, რომ განცხადებები არის სხვადასხვა და გამოძიებას აინტერესებს, რომელი ჩვენებაა სწორი.

მოწმე განმარტავს, რომ დეტალები შემდგომ გაახსენდა, მაგრამ შინაარსობრივად მისი განმარტებები იდენტურია.

– ავტომობილი მშვიდად მოძრაობდა, ამაში დარწმუნებული ვარ, ჩემი მეუღლე, ხუთი თვის ორსული იჯდა ავტომობილში და ვიცი, როგორ გადაადგილდებოდა. სულ ერთად ვართ, არასოდეს მერაბს ჩქარა არ უვლია. მე დეტალები მერე გავიხსენე, თუმცა განცხადებები ანალოგიურია, – განაცხადა გიორგი ლომინაძემ.

პროცესზე მხარეები დასაკითხ პირებზე შეთანხმდნენ. მომდევნო პროცესი კი 30 აპრილს ჩაინიშნა.

საქმე ეხება 2016 წელს ქუთაისის შემოვლით გზაზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას, რომელსაც კვირიკაშვილის მეუღლისა და შემხვედრ ავტომობილში მყოფი სამი ადამიანის დაღუპვა მოჰყვა.

## ინტერნეტგაზეთ „მეტრონომის“ ოფისი გაქურდეს

ინტერნეტგაზეთ „მეტრონომის“ ოფისი გაქურდეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ „მეტრონომის“ მთავარმა რედაქტორმა გენო ჯოხაძემ განუცხადა, ოფისიდან წაღებულია სამუშაო კომპიუტერები, რის გამოც ინტერნეტგამოცემის მუშაობა შეფერხებულია.

– როდესაც დილით მოვედით, ოფისი გაქურდული დაგვხვდა. წაღებულია 5 ლეპტოპი და ერთი ფოტოაპარატი.

როგორც ჩანს, შენობაში შესულები არიან სარკმლიდან, რადგანაც ის შენგრეულია. ოფისის ტერიტორიაზე კამერები გვაქვს დამონტაჟებული, თუმცა ის ადგილი, საიდანაც შესული არიან, კამერებზე არ ჩანს, – განაცხადა გენო ჯოხაძემ.

# ახლო აღმოსავლეთში ახალი გადანაწილება იწყება

მარიამ მჭედლიშვილი



სირიაში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ყველაზე კრიტიკულ ზღვარს მიაღწია შვიდწლიანი კონფლიქტის განმავლობაში.

სირიის პრობლემაზე მორიგი შეხვედრა გამართეს რუსეთის, თურქეთისა და ირანის პრეზიდენტებმა.

ეს შეხვედრა დაემთხვა ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ღია და ფარულ პროცესებს.

გერმანელი ექსპერტი ტომას ზაიბერტი აცხადებს, რომ რუსეთ-თურქეთ-ირანის ტრიოს წინააღმდეგ რეგიონში კოალიცია ყალიბდება. ამ პროცესებში აქტიური როლი აქვს საუდის არაბეთის პრინც მოჰამედ ბინ სალმანს. საუდის არაბეთისა და მისი მეზობელი თანამოაზრე ქვეყნების გარდა, ახალ გაერთიანებაში მოიაზრებიან ისრაელი, იორდანია და ეგვიპტე.

პრინცი ბინ სალმანი გახდა პირველი საუდელი პოლიტიკოსი, რომელმაც საჯაროდ აღიარა ისრაელის უფლება, ჰქონდეს სახელმწიფო. სწორედ ეს განსაზღვრავს ახალი ერის დასაწყისს ახლო აღმოსავლეთში.

ისრაელთან დაახლოებული ბინ სალმანი ეწერება ტრამპის ადმინისტრაციის სტრატეგიაში.

აშშ-ის სახელმწიფოს მეთაური საბოლოოდ დათანხმდა ამერიკელი სამხედროების ყოფნას სირიაში. პენტაგონის ხელმძღვანელმა მეტისმა ტრამპი დაარწმუნა, რომ აშშ ამცირებს მათ რაოდენობას ქვეყანაში. თეთრი სახლის ლიდერი ისევ აცხადებს, რომ ამისათვის რეგიონის ქვეყნებმა ფული უნდა გადაიხადონ.

საუდის არაბეთის პრინცის შეხედულებები ახლო აღმოსავლეთში ბოროტების სამკუთხედის არსებობაზე ემთხვევა ტრამპის მოსაზრებებს.

ბოროტების სამკუთხედში, მისი აზრით, შედიან ირანი, „ძმები მუსლიმანები“ და ისეთი ისლამისტური ექსტრემისტული დაჯგუფებები, როგორებიცაა „ისლამური სახელმწიფო“ და „ალ-ქაიდა“. ირანს გავლენა აქვს ერაყში, სირიასა და ლიბანში. მტრულ ტრიოში საუდელი პრინცი ხედავს თურქეთსაც, რომლის პრეზიდენტი მხარს უჭერს „ძმებ მუსლიმანებს“.

პრინცი სალმანი აშშ-სთან და ისრაელთან თანამშრომლობით აპირებს რეგიონში კარტების გადაწყობას. მოსალოდნელია მისი შეჯახება ირანთან.

ბუნდოვანია პალესტინის საკითხი. ტრამპის გეგმით, პალესტინა უნდა იყოს ისრაელის პროტექტორატში. მას ეთანხმება საუდელი პრინცი, თუმცა მისი მამა და არაბული სამყაროს პოლიტიკური ელიტა სხვა აზრზე არიან. მათთვის პალესტინა სახელმწიფოა.

ახლო აღმოსავლეთში რუსეთის პოზიციების გაძლიერებაზე საუბრობენ ერაყელი ექსპერტები.

მათი სიტყვებით, სირია რუსეთის უკანასკნელი ბასტიონია რეგიონში. რუსეთის ჩარევამ სირიის მოვლენებში დამხობას გადაარჩინა ასადის რეჟიმი. ამან უზრუნველყო რუსეთისთვის პლაცდარმის შექმნა. მისი საშუალებით მოსკოვი თავის გავლენას ავრცელებს მთელ რეგიონში.

რუსეთი უპირისპირდება დასავლეთის ბანაკს აშშ-ის ხელმძღვანელობით. დასავლური ბანაკი სპარსეთის ყურის მოკავშირე ქვეყნებისა და თურქეთის მეშვეობით ცდილობს სირიის ხელში ჩაგდებასა და ირანი-ჰესბოლას შორის კონტაქტის გაწყვეტას.

სირიის რეჟიმის დამხობა გამოიწვევს რუსეთის როლის დაკნინებას რეგიონში. რუსეთმა თავისი ჩარევით მიაღწია იმას, რომ სირიის ოპოზიციურმა შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა დაყარეს იარაღი. მათ ქვეყნის ჩრდილოეთში გადაინაცვლეს.

ერაყელი ექსპერტების აზრით, მოსკოვი სირიას არ დათმობს. ერაყსა და ლიბიაზე რუსეთმა უარი თქვა იმის გამო, რომ სუსტი იყო და საამისო დრო არ ჰქონდა. ახლო აღმოსავლეთში რეგიონის ახალი რუკის შექმნა დაიწყო 2003 წელს, როცა აშშ შევიდა ერაყში და ხელთ იგდო მდიდარი ნავთობსაბადოები. ამას მოჰყვა ლიბიაში კადაფის რეჟიმის დამხობა. მანამდე ერაყი და ლიბია იყვნენ საბჭოთა კავშირისა და მისი სამართალმემკვიდრე რუსეთის მოკავშირეები.

სირიაში მასობრივი დემონსტრაციები ჯერ მშვიდობიანად გამოიყურებოდა, მაგრამ მალე შეიარაღებულ კონფლიქტსა და სამოქალაქო ომში გადაიზარდა. სირიის სახელმწიფო განადგურდა. სირიელი ხალხის ნაწილი ლტოლვილია, ნაწილი კი სირიაში კარვებში გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს.

# ბრიტანულმა დაზვერვამ „ნოვიჩოკის“ წარმოების ადგილს მიაკვლია



დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურებმა „საიდუმლო რუსული ლაბორატორიის“ კვალს მიაგნეს, სადაც ნერვულ-პარალიტიკური საწამლავი „ნოვიჩოკი“ სოლსბერიში იულია და სერგეი სკრიპალების მოწამვლისთვის დაამზადეს.

ამის შესახებ თაიმსი დაზვერვის წყაროზე დაყრდნობით წერს.

გაზეთი არ ყვება, ზუსტად სად მდებარეობს ლაბორატორია, ამასთან, ირწმუნება, რომ დიდმა ბრიტანეთმა იცოდა ქიმიური ლაბორატორიის არსებობის შესახებ მანამ, სანამ სკრიპალს დაესხმებოდნენ თავს.

ამავდროულად, დეილი მეილი ბრიტანულ დაზვერვაზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ რუსეთში მანამდეც ჩატარებულა „ნოვიჩოკის“ სატესტო გამოცდები. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, სკრიპალები სახლის კარის საკეტზე წასმული „ნოვიჩოკით“ მოიწამლნენ.

ბრიტანული სამხედრო ლაბორატორიის პორტონ-დაუნის ექსპერტებმა არ დაადგინეს, თუ კონკრეტულად სად დამზადდა ნივთიერება, რომლითაც სოლსბერიში ყოფილი რუსი ჯაშუში სერგეი სკრიპალი და მისი შვილი იულია მოწამლეს.

– ჩვენ შევძელით საწამლავის, როგორც „ნოვიჩოკის“, იდენტიფიცირება, რომ ის სამხედრო დანიშნულების ნერვულ-პარალიტიკური ნივთიერებაა. ჩვენ არ დავადგინეთ ზუსტი წყარო, მაგრამ სამეცნიერო მონაცემები მივაწოდეთ მთავრობას, რომელიც საკუთარ დასკვნამდე მივიდა მთელი რიგი სხვა წყაროს გამოყენებით, – განაცხადეს ექსპერტებმა.

სერგეი სკრიპალი ყოფილი რუსი ჯაშუშია, რომელიც ბრიტანულ დაზვერვაზე მუშაობდა. ის რუსეთში სახელმწიფო ღალატისთვის გაასამართლეს და 2010 წელს დიდ ბრიტანეთს გადასცეს. 2018 წლის 4 მარტს სკრიპალი მოწამლეს შვილთან ერთად, რომელიც წინა დღეს ბრიტანეთში რუსეთიდან ჩავიდა.

სერგეი სკრიპალი კომაშია. იულია სკრიპალი, რომელიც ასევე კრიტიკულ მდგომარეობაში და რამდენიმე დღეს უგონოდ იყო, მარტის ბოლოს უკეთ გახდა.

# აშშ მზადაა, პუტინის ფავორიტებს სანქციები დაუწესოს

აშშ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების გაფართოებას აპირებს. კერძოდ, სანქციებს დაუწესებენ ფსბ-ს, გრუ-ს თანამშრომლებს, აგრეთვე ოლიგარქებს, რომლებიც ვლადიმერ პუტინის უახლოეს გარემოცვას განეკუთვნებიან.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა სარა სანდერსმა განაცხადა, რომ რუსეთის აგრესიული პოლიტიკა უკვე მთელი მსოფლიოს მშვიდობას უქმნის საფრთხეს.

– რუსეთი ყოფილი ზესახელმწიფოა, რომელიც ახლა თავისი მოქმედებით მშვიდობას საფრთხეს უქმნის, – ამბობს სანდერსი.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა აშშ-ის მოკავშირეებსა და სხვა ქვეყნებს მოუწოდა, რომ რუსეთზე ზეწოლა გააძლიერონ.

– ეს მშვიდობის შენარჩუნებისთვისაა აუცილებელი, – თქვა სანდერსმა.



# დალია გრიბაუსკაიტე: „უკრაინამ ძლიერი არმია შექმნა“



დასრულდა ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის პრეზიდენტების შეხვედრა ტრამპთან. ლიტვის პრეზიდენტმა დალია გრიბაუსკაიტემ „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში აღნიშნა, რომ სამიტზე უკრაინის საკითხიც განიხილეს.

– ტრამპი დაინტერესდა, შეუძლია თუ არა უკრაინას, რუსებისგან თავი დაიცვას – თქვა ლიტვის პრეზიდენტმა.

გრიბაუსკაიტემ აშშ-ის პრეზიდენტს მიუგო, რომ უკრაინაში შექმნილ სიტუაციაზე ამომწურავადაა ინფორმირებული.

– უკრაინელი სამხედროები ნამდვილი გმირები არიან, – მიუგო მან ტრამპს და დაამატა, რომ მიუხედავად უდიდესი ეკონომიკური პრობლემებისა, უკრაინამ ძლიერი არმია შექმნა.

– თავდაპირველად უკრაინელები ფონს გმირობისა და ენთუზიაზმის ხარჯზე გადიოდნენ. ახლა მათ უკვე კარგად გაწვრთნილი, დისციპლინირებული ჯარი ჰყავთ, – ამბობს ლიტვის ლიდერი.

გრიბაუსკაიტემ ხაზი გაუსვა, რომ უკრაინის არმიას სახელმწიფოს დაცვა შეუძლია, რაც მან ბრძოლის ველზე დაამტკიცა.

– საქმე მხოლოდ ის როდია, რომ ომი უკვე მეოთხე წელია, გრძელდება. რუსები არათუ წინ ვერ მიდიან, უკანაც იხევენ. ფრონტის ხაზიც დასტაბილურდა, – ამბობს გრიბაუსკაიტე.

ლიტვის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ უკრაინელი ხალხი საბრძოლველადაა განწყობილი. არმიის შექმნაც იმიტომ მოხერხდა, რომ ერს სამშობლოს დაცვა სურდა და არა – კაპიტულაცია.

– ამიტომაც უკრაინას დახმარება აუცილებლად უნდა გაეწიოს, – განუცხადა ტრამპს გრიბაუსკაიტემ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ


# განცხადებები

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს. ტელ: 598-43-98-57.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზიური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.



# სოხუმი სუპერლიგას დაემშვიდობა

**ოლიმპი-მგზავრები 79:93**
**(20:25, 14:28, 16:23, 29:17)**

სუპერლიგაში ბოლო პერიოდის ყველაზე შედეგიანი გუნდი თბილისის მგზავრებია. ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა ზედიზედ მე-5 მატჩი მოიგო, რაც, თუ სუპერლიგის წევრთა დაბალანსებულ პოტენციალს გავითვალისწინებთ, ძალიან კარგი შედეგია. მგზავრებმა მაღალი ამბიციის მქონე ოლიმპი ისე დაამარცხეს, რომ არანაირი პრობლემა არ შეჰქმნია. ბერიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა შეხვედრის უმეტეს მონაკვეთში მეტოქე 20 ქულაზე ახლოს არ მიიკარა, საბოლოოდ კი 93:79 მოუგო და ცხრილში პოზიცია გაიმყარა.

დაკარგული ქულების მხრივ მგზავრებსა და ოლიმპს შორის უკვე მინიმალური სხვაობაა. შესაძლოა მგზვარებმა მოახერხონ კიდეც ცხრილში დაწინაურება, მაგრამ უფრო მთავარი ალბათ ისაა, რომ ბერიშვილის გუნდი პროგრესირებს და პლეი ოფს ფორმის პიკზე ხვდება. მეოთხედფინალში დინამო იქნება მგზავრების მეტოქე, რუსთავი თუ კაკტუსი, დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. მთავარია, გუნდი კარგად შეთამაშებული შეხვდეს გადამწყვეტ მატჩებს და დანარჩენი შემდეგში გადაწყდება.

რაც შეეხება ოლიმპს, ლეონიდ ივატინისა და დავით როგავას გაწვრთნილი გუნდი ვერაა სათანადო დონეზე – რაც უმეტესწილად ტრავმიანობის ბრალია, თუმცა, ვინც ჯანზეა, ვერც ისინი აჩვენებენ მწვრთნელებისთვის სასურველ, ვარჯიშებზე დაგეგმილ თამაშს. ასე რომ, გუშინდელი მატჩი ოლიმპელებისთვის კარგი გაკვეთილი უნდა გახდეს და როცა ამ გუნდს ნაოპერაციები მარკ ოგდენი და ახალწვეული ნიკა მეტრეველი დაემატებათ, მეტი წარმატების ჯანსაღი ამბიციაც მაშინ მიეცემათ.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე ადრიან ბოუი გახდა, რომელიც საშუალოდ მითვლილი 19.6 ქულით სუპერლიგის მეორე მექულეა და მას კაკტუსელი დეანდრე პარკსი მხოლოდ 0,1 ქულით უსწრებს. ოლიმპელებს 17 ქულა ჩაუგდო ტეილორ სტეფორდმა, ხოლო ირაკლი ალხანაიძემ შეხვედრა 16 ქულით დაასრულა. ოლიმპში 16-16 ქულით ბომბარდირობა გივი ბაქრაძემ და მორის ჰილმა გაიყვეს, ხოლო ნიკა დარბაიძის ანგარიშზე 14 ქულა დაგროვდა.

**დელტა-სოხუმი 108:66**
**(26:16, 24:24, 30:11, 28:15)**

ამ მატჩის შემდეგ გაცხადდა, რომ სოხუმი ბოლო ადგილს ვეღარ ასცდება და, შესაბამისად, ა ლიგაში უნდა დაქვეითდეს. თუმცა ეს საქართველოა და, არ არის გამორიცხული, მომავალში კიდევ გაიზარდოს სუპერლიგაში გუნდების რაოდენობა და სოხუმიც ისევე დარჩეს, როგორც გასულ წელს – ბათუმი, მით უფრო, სოხუმი დასარჩენად უფრო კარგად ჟღერს.

შესაბამისად, პლეი ოფში გასული რვავე გუნდის ვინაობაც ცნობილია.

როგორც ხედავთ, ბრძოლა არ შედგა. მარნეულელებმა დამაჯერებელი სხვაობით იმარჯვეს, რაშიც ლომის წილი დეანდრე რეიმ 21 ქულით დაიდო. 18 ქულა და 7 მოხსნა მიითვალა ნიკოლას ნილმა, ხოლო გიორგი ვახანიამ და არტიომ შვეცმა 16-16 ქულა მოაგროვეს. სოხუმში 14 ქულით საუკეთესო იყო ტატო ზუზაძე. 13 ქულა მიითვალა მაიზერ რევაზაშვილმა, ხოლო ლევან რევაზაშვილის ანგარიშზე 12 ქულა დაგროვდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ქუთაისი | 26 | 19 | 7 | 2184:1973 | 45 |
| 2.რუსთავი | 26 | 17 | 9 | 2097:1999 | 43 |
| 3.დინამო | 25 | 16 | 9 | 2051:1882 | 41 |
| 4.კაკტუსი | 25 | 15 | 10 | 2042:1997 | 40 |
| 5.ბათუმი | 26 | 14 | 12 | 1985:1878 | 40 |
| 6.ოლიმპი | 26 | 13 | 13 | 2018:1995 | 39 |
| 7.მგზავრები | 26 | 12 | 14 | 2066:2163 | 38 |
| 8.დელტა | 26 | 9 | 17 | 2113:2206 | 35 |
| 9.სოხუმი | 26 | 1 | 25 | 1950:2413 | 27 |

# შედეგები

**4 აპრილი**
**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

ლივერპული-სიტი ............ 3:0
ბარსელონა-რომა ............ 4:1

**იტალია. სერია ა**

ბენევენტო-ვერონა ............ 3:0
კიევო-სასუოლო ............ 1:1
მილანი-ინტერი ............ 0:0
ტორინო-კროტონე ............ 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 30 | 25 | 3 | 2 | 70-16 | 78 |
| 2.ნაპოლი | 30 | 23 | 5 | 2 | 64-20 | 74 |
| 3.რომა | 30 | 18 | 6 | 6 | 50-24 | 60 |
| 4.ინტერი | 30 | 16 | 11 | 3 | 50-21 | 59 |
| 5.ლაციო | 30 | 17 | 6 | 7 | 73-39 | 57 |
| 6.მილანი | 30 | 15 | 6 | 9 | 42-35 | 51 |
| 7.სამპდორია | 30 | 14 | 5 | 11 | 50-46 | 47 |
| 8.ატალანტა | 30 | 13 | 8 | 9 | 46-33 | 47 |
| 9.ფიორენტინა | 30 | 13 | 8 | 9 | 42-33 | 47 |
| 10.ტორინო | 30 | 10 | 12 | 8 | 45-38 | 42 |
| 11.ბოლონია | 30 | 10 | 5 | 15 | 35-42 | 35 |
| 12.ჯენოა | 30 | 9 | 7 | 14 | 24-31 | 34 |
| 13.უდინეზე | 30 | 10 | 3 | 17 | 38-46 | 33 |
| 14.კიევო | 30 | 7 | 8 | 15 | 28-49 | 29 |
| 15.სასუოლო | 30 | 7 | 8 | 15 | 20-50 | 29 |
| 16.კალიარი | 30 | 8 | 5 | 17 | 28-50 | 29 |
| 17.სპალი | 30 | 5 | 11 | 14 | 29-51 | 26 |
| 18.კროტონე | 30 | 6 | 6 | 18 | 28-56 | 24 |
| 19.ვერონა | 30 | 6 | 4 | 20 | 25-62 | 22 |
| 20.ბენევენტო | 30 | 4 | 1 | 25 | 24-69 13 | |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

რენი-მონაკო ............ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 31 | 27 | 2 | 2 | 95-21 | 83 |
| 2.მონაკო | 31 | 20 | 7 | 4 | 75-33 | 67 |
| 3.მარსელი | 31 | 18 | 8 | 5 | 64-38 | 62 |
| 4.ლიონი | 31 | 17 | 9 | 5 | 64-36 | 60 |
| 5.რენი | 31 | 13 | 7 | 11 | 40-37 | 46 |
| 6.მონპელიე | 31 | 10 | 15 | 6 | 31-26 | 45 |
| 7.ნიცა | 31 | 13 | 6 | 12 | 42-43 | 45 |
| 8.ნანტი | 31 | 12 | 8 | 11 | 30-33 | 44 |
| 9.სტ.ეტიენი | 31 | 11 | 9 | 11 | 36-44 | 42 |
| 10.გენგამი | 31 | 10 | 8 | 13 | 32-46 | 38 |
| 11.დიჟონი | 31 | 10 | 8 | 13 | 44-60 | 38 |
| 12.ბორდო | 31 | 10 | 7 | 14 | 34-41 | 37 |
| 13.ანჟე | 31 | 8 | 11 | 12 | 36-42 | 35 |
| 14.კაენი | 31 | 10 | 5 | 16 | 23-39 | 35 |
| 15.ამიენი | 31 | 9 | 7 | 15 | 26-34 | 34 |
| 16.სტრასბური | 31 | 8 | 9 | 14 | 37-56 | 33 |
| 17.ტულუზა | 31 | 7 | 9 | 15 | 29-43 | 30 |
| 18.ტრუა | 31 | 8 | 5 | 18 | 25-42 | 29 |
| 19.ლილი | 31 | 7 | 7 | 17 | 29-49 | 28 |
| 20.მეცი | 31 | 5 | 7 | 19 | 29-58 | 22 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სელტიკი-დანდი ............ 0:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

იანინა-აპოლონი ............ 0:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბანიკი-პლზენი ............ 0:0

# საქართველომ იტალია დაამარცხა



საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა თბილისის საერთაშორისო ტურნირის პირველ მატჩში 30:28 მოუგო იტალიას, ხოლო ჩვენი ახალგაზრდული გუნდი 26:31 დამარცხდა ფინეთთან.

ჩვენს ეროვნულ გუნდს 2 ძირითდი მოთამაშე, ორჯონიკიძე და წითელიშვილი აკლდა და, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ტაიმი თანაბარი იყო და 2 ბურთზე მეტით წინ არავინ გასულა, გვქონდა შთაბეჭდილება, რომ იტალია, რომელმაც წინა სეზონში, ევრო 2020-ის შესარჩევი მატჩი სირაკუზაშიც მოგვიგო და თბილისშიც, ამჯერადაც მეორე ტაიმში გვაჯობებდა, რადგანაც სრული, 16-კაციანი გუნდით თამაშობდა. ჩვენ კი სკამზე ძირითადად ახალბედა ჭაბუკები გვყავდა. მიზეზი ეს იყო: ისრაელის ნაკრების გვიანი და მოულოდნელი უარის შემდეგ ჩვენ 2 ნაკრებით მოგვიწია გამოსვლა და ორივე ისე დაკომპლექტდა, რომ ახალგაზრდული გუნდიც ბრძოლისუნარიანი გამოსულიყო.

ჩვენს გუნდში სრული 60 წუთი ითამაშეს თევზაძემ, რუსტამოვმა და ჩიქოვანმა, ხოლო შეტევის დროს, უკანა ხაზში, თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში, უცვლელი სამეული გვყავდა – სტურუა-ჩიქოვანი-ცხოვრებაძე. პირველ ტაიმში 6 გოლით საუკეთესო იყო მონპელიეს 17 წლის შუამარბი, გიორგი ცხოვრებაძე, ტაიმი კი, 16:16 მორჩა. თუმცა, იტალია უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებდა იმის გამო, რომ ბევრად უფრო მრავალფეროვნად და მწყობრად უტევდა გამთამაშებელ ტურკოვიჩის მეთაურობით. დაცვაში ძალიან გვიჭირდა, თანაც რატი მსხვილიძემ ორჯერ გადაიტრიალა ფეხი და საეჭვო იყო, გააგრძელებდა თუ არა თამაშს.

მაგრამ დაიწყო მეორე ტაიმი, მსხვილიძეც გამოვიდა მოედანზე და მკვეთრადაც მოვუმატეთ დაცვაში. მწვრთნელებმა ბოშკოვსკიმ და კალანდაძემ მაქსიმალურად გამოიყენეს მეტოქეზე ბევრად ნაკლები რესურსი – დაცვაში გუნდს ეშველებოდნენ 40 წლის დათუკაშვილი და მასზე ორჯერ უმცროსი გოგავა, მსხვილიძეს ხაზზე ცვლიდა 18 წლის ლაპიაშვილი; ცხოვრებაძემ მეორე ტაიმში სამჯერ ზუსტად დაარტყა შვიდმეტრიანი; სტურუამ, რომელსაც ნაკრებში დებიუტი წლეულს, იანვარში ჰქონდა, ამჯერად შეტევაში შეუცვლელად ითამაშა და მნიშვნელოვანი 4 გოლი გაიტანა; რუსტამოვმა მეორე ტაიმში კუთხიდან ისევე ვირტუოზულად შემოატარა ბურთი იტალიელთა მეკარეს, როგორც პირველში – დიხამიანჯიამ; 3 გოლი გაიტანა მისთვის უჩვეულო, პივოტის პოზიციიდან მსხვილიძემ და დაცვაშიც საუკეთესო იყო; ამ ყველაფერს კი, უშუალოდ მოედანზე, ჩიქოვანი ხელმძღვანელობდა.

საკვანძო იყო მონაკვეთი 47-50-ე წუთებზე: მეორე ტაიმში სულ ვლიდერობდით, მაგრამ ვერაფრით დავწინაურდით 2 ბურთით, როცა მსხვილიძემ მეტოქის დარტყმა დაბლოკა, ამავე შეტევაში თევზაძემ მოიგერია მძიმე ბურთი, რიცხვობრივ მეტობაში კი ბურთი მარჯვენა კუთხეში ვეტერან ჭანტურიაზე ჩათამაშდა და 25:23; იქვე ჭანტურიამ ჭკვიანურად ითამაშა დაცვაში დოლდანი შეტევაში დააჯარიმა, ჩიქოვანმა სხვაობა გაზარდა – 26:23. და კულმინაცია: თევზაძე იგერიებს სტარჩევიჩის 6 მეტრიდან დარტყმულს, ასხლეტილი ბურთი მეტოქის ნახევარზე ვარდება, იქ დიხამინჯია მორეტის ბრძოლას უგებს და მეკარესთან პირისპირ გადის – 28:24! რჩება 7 წუთი და იტალია ისევ ამცირებს სხვაობას ორამდე, მაგრამ აქ ყველაფერს თავის თავზე იღებს ნაკრების ლიდერი, ჩიქოვანი, რომელსაც ბოლო 2 გოლი გააქვს – 30:26. თითქოს თამაში მოგებულია, მაგრამ საქართველოს ნაკრებმა მაინც ხომ უნდა გვანერვიულოს. ასეც მოხდა ბოლო 2 წუთში, როდესაც მეტოქემ სხვაობა შეამცირა და შანსი კიდევ ჰქონდა, მაგრამ დრო აღარ ეყოთ. საბოლოოდ, 30:28.

კარგად ითამაშა ჩვენმა ახალგაზრდულმა გუნდმაც ფინეთის ეროვნულ ნაკრებთან პირველ ტაიმში ორჯერ წინ იყო 2-2 ბურთით, შესვენებაზე სულ ერთით ჩამორჩა, შემდეგ კი, როდესაც მეტოქემ იმძლავრა, ბოლომდე იბრძოლა და სხვაობა შეამცირა – 26:31. რაც მთავარია, აქაც ჩანდა რამდენიმე მოთამაშე, რომლებსაც ეროვნულ გუნდში თამაშის კარგი პერსპექტივა აქვთ.

# ლოკომ და რუსთავმა დერბები მოიგეს



**საბურთალო-ლოკომოტივი 1:2**
**თბილისი. მიხეილ მესხი**
**0:1 არველაძე (57), 0:2 გავაშელიშვილი (71), 1:2 რ.ჭანტურია (90სპ)**

**საბურთალო:** კუპატაძე, ჩაბრაძე, მარგველაშვილი, რეხვიაშვილი, ლაკვეხელიანი, თარხნიშვილი (გვარაძე 65), გორგიაშვილი, დიასამიძე, ვაგნერი, ვოლკოვი (გოშთელიანი 59), ტატანაშვილი (კოხრეიძე 46)

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, ღონღაძე, ლობჟანიძე, ნ.ჭანტურია, კომახიძე, გვალია, შონია (ძებნიაური 26), ჯიქია (რ.ჭანტურია 69), დავითაშვილი, გავაშელიშვილი, არველაძე (ხიდეშელი 83)

საბურთალო მიმდინარე ეროვნულ ლიგაში ერთადერთი გუნდი იყო, რომელმაც ოთხივე მატჩი მოიგო, მაგრამ ფეხი დედაქალაქურ დერბიში დაუცდა და ლოკომოტივთან 1:2 დამარცხდა. თავის მხრივ, რკინიგზელებმა პირველი გამარჯვება მიითვალეს მიმდინარე სეზონში.

მატჩის დებიუტში გუნდები სათამაშო უპირატესობის მოსაპოვებლად იბრძოდნენ. ეს უკეთ საბურთალომ მოახერხა და ტაიმის შუაში მასპინძლებმა 2 სახიფათო მომენტი შექმნეს. ლოკოს კარს ორივე შემთხვევაში თორნიკე გორგიაშვილი დაემუქრა, თუმცა მისი პირველი ცდა არაზუსტი იყო, მეორედ კი რევაზ თევდორაძემ აჯობა და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

ტაიმის მიწურულს ანგარიშის გახსნა ლოკომოტივს შეეძლო. ზურიკო დავითაშვილს გოლამდე მცირედი დააკლდა. მისი დარტყმა ხარიხას მოხვდა.

მეორე ნახევარში ლოკომოტივმა თამაში კონტრშეტევებზე ააგო. 57-ე წუთზე ლაშა გვალიამ მეტოქის ნახევარზე ბურთი მოიპოვა, შეტევა ვატო არველაძემ გააგრძელა და რამდენიმე ფეხბურთელის ჩამოშორების შემდეგ ლამაზი გოლი გაიტანა.

71-ე წუთზე მასპინძელთა კარი მამია გავაშელიშვილმა აიღო და მიმდინარე სეზონში პირველი გოლი გაიტანა. ლოკოს ფორვარდმა საბურთალოს საჯარიმოსთან მცველების შეუთანხმებელი თამაშით ისარგებლა და საჯარიმოს ხაზიდან დაარტყა. ბურთი გზად რეხვიაშვილს მოხვდა, მიმართულება იცვალა, მაგრამ გოლის ავტორად მაინც გავაშელიშვილი ჩაითვალა.

შემდეგ რევაზ თევდორაძემ ორჯერ გადაარჩინა ლოკომოტივი – ჯერ ვაგნერ გონსალვეშს, შემდეგ ბექა გვარაძეს აჯობა. საბურთალომ მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში კიდევ 2 სახიფათო მომენტი შექმნა. უკანასკნელ წუთზე გეგა დიასამიძის დარტყმა ნიკა ჭანტურიამ ცარიელი კარიდან გამოიტანა და ბურთი კუთხურზე მოიგერია. კუთხურიდან მოწოდებული ბურთი რომან ჭანტურიამ საკუთარ კარში ჩაჭრა და მატჩის საბოლოო შედეგი დააფიქსირა.

**სიონი-რუსთავი 0:2**
**თბილისი. მიხეილ მესხი**
**0:1 კობახიძე (39), 0:2 მიქელთაძე (89)**

**სიონი:** მუჯრიშვილი, გურეშიძე, ლ.ნოზაძე, გაფრინდაშვილი, გიორბელიძე, ქიქავა, მანაგაძე (ლეჟავა 83), ხმალაძე (სიხარულია 60), მიქაბერიძე, ბერიაშვილი (კოშკაძე 60), დვალი

**რუსთავი:** რევიშვილი, ცარიკაევი, მ.კობახიძე, ცხოვრებოვი, პაპავა (ზვიადაძე 90), ცინცაძე, ფონიავა, ციცქიშვილი (კვირკვია 63, მარცვალაძე 81), გაბულოვი, მიქელთაძე, ბ.ქავთარაძე

რუსთავმა სეზონის სტარტზე სტუმრად დინამოს მოუგო, მაგრამ შემდეგ ზედიზედ 3 წააგო და ხასიათი ქვემოქართლურ დერბიში გამოიკეთა.

ვერ ვიტყვით, რომ თამაშით მაყურებელი აღფრთოვანებული დარჩებოდა. გამოსარჩევი ბევრი არაფერი იყო. 2 მომენტი რუსთავმა შექმნა და გამოიყენა, 2 მომენტიც ჯაბა დვალს ჰქონდა და უგოლოდ დატოვა მოედანი.

რუსთაველთა პირველი გოლი სტანდარტული სიტუაციის შემდეგ შექმნილ არეულობას მოჰყვა და ბოლოს ბურთს მამუკა კობახიძე შეეხო – 0:1.

ტაიმის ბოლოს დვალი მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ კარს ააცილა.

შემდეგ თამაშის ბოლომდე არაფერი მომხდარა: ჯერ რუსთაველებმა კარგად გაათამაშეს ბურთი და ბექა მიქელთაძემ მეორე გაიტანა, შემდეგ კი დვალის დარტყმული ძელს მოხვდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 5 | 4 | 0 | 1 | 12-4 | 12 |
| 2.დინამო | 4 | 3 | 0 | 1 | 10-4 | 9 |
| 3.ჩიხურა | 4 | 2 | 2 | 0 | 9-3 | 8 |
| 4.დილა | 4 | 2 | 1 | 1 | 7-7 | 7 |
| 5.ტორპედო | 4 | 2 | 0 | 2 | 7-5 | 6 |
| 6.მეტალურგი | 5 | 2 | 0 | 3 | 4-5 | 6 |
| 7.სიონი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-8 | 4 |
| 8.კოლხეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-10 | 4 |
| 9.ლოკომოტივი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-12 | 4 |
| 10.სამტრედია | 4 | 1 | 0 | 3 | 3-7 | 3 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ლივერპული და ბარსა სამბურთიანი სხვაობით იგებენ

### ლივერპული-სიტი 3:0

**ლივერპული. ენფილდი**
**1:0 სალაჰი (12), 2:0 ოქსლეიდ-ჩემბერლენი (21), 3:0 მანე (32)**

**ლივერპული**: კარიუსი, ალექსანდერ-არნოლდი, ლოვრენი, ვან დეიკი, რობერტსონი, მილნერი, ჰენდერსონი, ოქსლეიდ-ჩემბერლენი (მორენო 85), მანე, სალაჰი (ვეინალდუმი 52), ფირმინო (სოლანკე 71)

**სიტი**: ედერსონი, უოლკერი, ოტამენდი, კომპანი, ლაპორტი, ფერნანდინიო, დე ბრუინი, დ.სილვა, გუნდოგანი (სტერლინგი 57), სანე, ჟეზუსი



ჩემპიონთა ლიგაში როგორც კი სიტის ოდნავ სერიოზული გუნდი შეხვდება, მაშინვე პრობლემები ექმნება. ასე მოხდა ამჯერადაც და, სიტის თუ ნახევარფინალში გასვლა უნდა, ძალიან უნდა მოინდომოს, რადგან ენფილდზე მძიმე დარტყმა მიიღეს. ლივერპულელებს ნახევარი საათი ეყოთ ედერსონის კარში 3 გოლის გასატანად. გოლები კი სხვადასხვა გემოვნების იყო: ახლოდან, შორიდან, თავით... თანაც ისე ხდება, რომ ლივერპულს მადა და გემოვნება სწორედ სიტისთან ეხსნება.

თუმცა ეს ჯერ ყველაფერი არ არის – მიუხედავად ლივერპულის დიდი უპირატესობისა, ეტიჰედზე ბრძოლა იქნება და სიტი მოედანზე განწირული არ გავა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – მოჰამედ სალაჰი

რამდენიმე დღის წინ ეგვიპტის მოსახლეობა სალაჰის ქვეყნის პრეზიდენტად არჩევას ითხოვდა და, არ არის გამორიცხული, ახლა ლივერპულის მოსახლეობამ მერობა შესთავაზოს. სალაჰმა ყველაფერი გააკეთა სიტის დასამარცხებლად და, სანამ ტრავმა არ მიიღო, მანამდე დაზაფრული ჰყავდა მეტოქის მცველები.

**პეპ გვარდიოლა:**

– მატჩი კარგად დავიწყებ, თუმცა შემდეგ მათ გოლი გაგვიტანეს. თამაში გავაგრძელეთ და კიდევ 2 გავუშვით. ამასთან შეგუება ძნელია. მეტოქემ პირველ ტაიმში მხოლოდ 10-15 წუთის განმავლობაში გვაჯობა. მეორე ტაიმში მაქსიმალურად ვცდილობდით, მაგრამ ვერ გავიტანეთ. რაც შეეხება პირველ ორ გოლს, თამაშს ჩვენ ვაკონტროლებდით, თუმცა მათ გაგვიტანეს. წუწუნს არ ვაპირებ. ჩვენი გასვლის არავის სჯერა, მაგრამ წინ საპასუხო შეხვედრაა. ლივერპულს 2 შეტევა ჰქონდა და 2 გოლი გაგვიტანეს. ამის მიღება რთულია. მატჩის დარჩენილ ნაწილში ძალიან კარგები ვიყავით. უნდა გაგვეტანა, მაგრამ მასპინძლები თავს კარგად იცავდნენ. ამას უნდა შევეგუოთ. ახლა მანჩესტერ იუნაიტედთან საშინაო შეხვედრა გვაქვს, შემდეგ კი – ლივერპულთან. ვნახოთ. არავინ იცის, ყველაფერი როგორ განვითარდება, მაგრამ საუკეთესო მოვლენების განვითარების გვჯერა.

**იურგენ კლოპი:**

– ეს მხოლოდ პირველი ტაიმია. 3:0 ანგარიში კარგია. ჩვენ ასეთ შედეგს არ ველოდით, მაგრამ მეორე ტაიმში უკეთესად უნდა გვეთამაშა. სიტის ბევრი საგოლე შანსი არ ჰქონია, მაგრამ შესვენების შემდეგ ჩვენს მოქმედებებშიც ფეხბურთი ცოტა იყო. პირველი ტაიმი საუცხოოდ ჩავატარეთ. ფეხბურთი სწორედ ასეთი უნდა იყოს. მსურს, რომ უფრო მეტი ფეხბურთი იყოს, თუმცა არ ვბრაზდები, ყველაფერი კარგადაა. ჩვენ მეტოქის ძლიერი მხარეები ვიცოდით, მაგრამ მისი პლუსებიც გვახსოვდა.

### ბარსელონა-რომა 4:1

**ბარსელონა. კამპ ნოუ**
**1:0 დე როსი (39სკ), 2:0 მანოლასი (55სკ), 3:0 პიკე (59), 3:1 ჯეკო (80), 4:1 სუარესი (87)**

**ბარსელონა:** ტერ შტეგენი, სემედუ, პიკე, უმტიტი, ალბა, ინიესტა (დ.სუარესი 85), ბუსკეტსი, (პაულინიო 66) რაკიტიჩი, სერხი რობერტო (ა.გომეში 83), სუარესი, მესი

**რომა**: ალისონი, პერესი, ფაზიო, მანოლასი, კოლაროვი, სტროოტმანი, დე როსი (დეფრელი 77), პელეგრინი (გონალონსი 60), პეროტი, ჯეკო, ფლორენცი (ელ შაარავი 72)

თითქმის წინასწარ იყო ცნობილი სცენარი. არ გამოვიდა დამაინტრიგებელი მატჩი. კლასში ყველაზე დიდი სხვაობა სწორედ ამ წყვილში იყო. ერთია, პირველი ტაიმის შემდეგ რომა ასეთ განადგურებას არ იმსახურებდა, მაგრამ ფეხბურთი 90 წუთი გრძელდება.

რომამ მეტოქეზე მეტი გოლი გაიტანა, მაგრამ წააგო, იმიტომ რომ საკუთარ კარში გაჰქონდა. თუმცა ეს სულაც არ ადარდებს ბარსელონას, რომელმაც საჭირო სიტუაცია შეუქმნა მეტოქეს. შემდეგ ყველაფერი ტექნიკის საქმე იყო და ეს ბარსელონას არ ეშლება.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ლეო მესი

მესი და დანარჩენები – შეიძლება ასეც დავყოთ. სხვებიც კარგები იყვნენ, მაგრამ – ერთნაირად კარგები, მესი კი ნამდვილი ლიდერის სახით იდგა მოედანზე და წინ მიუძღოდა დანარჩენებს.

**ერნესტო ვალვერდე:**

– კარგ შედეგს მივაღწიეთ, მაგრამ მერჩივნა ანგარიში 3:0 ყოფილიყო და არა – 4:1. კიდევ ერთი მატჩი გველოდება, რომელშიც არაერთი წინააღმდეგობის დაძლევა მოგვიწევს. განვლილ შეხვედრაში წნეხისგან თავის დაღწევას ძალიან ნაჩქარევად ვცდილობდით. შედეგად, ინტრიგა მატჩის ბოლომდე შენარჩუნდა, რადგან რომას ხარისხიანი ფეხბურთელები ჰყავს. მეორე ტაიმში თამაში უფრო ღია იყო და მეტოქე რამდენიმე გადაადგილების გამო დავსაჯეთ. ავტოგოლები? სიმართლე ისაა, რომ თუ მეტოქის კარს არ მიუახლოვდები, მაშინ ვერც მის პროვოცირებას მოახდენ, რომ თავის კარში გაიტანოს.

# ფუტსალის ნაკრების გამარჯვება ახალი ბრაზილიელებით




საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა თბილისის ოლიმპიურ სასახლეში ინგლისს უმასპინძლა და დიდი ანგარიშით, 5:1 დაამარცხა.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში 2 ნატურალიზებული ბრაზილიელი ფეხბურთელის – მატა ფეიტოსასა და სიმი საიოტის დებიუტი შედგა. დებიუტანტებმა საკმაოდ კარგი თამაში აჩვენეს. სიმი საიოტიმ ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ სულაც 3 გოლის გატანა მოახერხა. ტრადიციულად, ბრწყინვალედ გამოიყურებოდა საქართველოს ნაკრების ლიდერი, რონინიო, რომელიც გუნდის შეტევებს წარმართავდა და საკუთარი ტექნიკის დემონსტრირებით არაერთხელ დაიმსახურა გულშემატკივრის აპლოდისმენტები.

შეხვედრა თავიდანვე ჩვენების უპირატესობით დაიწყო და, შეიძლება ითქვას, საწყის წუთებშივე გადავწყვიტეთ მატჩის ბედი, როდესაც მეოთხე წუთზე უკვე 3:0 ვიგებდით. ერთადერთი პრობლემა, რაც დღეს ავთანდილ ასათიანის გუნდის თამაშში შეიმჩნეოდა, მომენტების რეალიზებაა. გუნდი ძალიან ბევრ მომენტს აფუჭებს.

**საქართველოს ნაკრებმა ეს მატჩი ასეთი შემადგენლობით ითამაშა:**

თორნიკე ბუკია; რონინიო, მატა ფეიოტა, არჩილ სებისკვერაძე, სიმი საიოტი; დავით კეპაშვილი, ალექსანდრე ჯამბურია, შოთა ჭანუყვაძე, მურთაზ კაკაბაძე, ნუკრი ჭუმბურიძე, ლევან კობაიძე, ირაკლი თოდუა, კახაბერ მაისაია, გია ნიკვაშვილი, ვახტანგ კეკელია.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# რუსეთში სტალინიზმის რესტავრაცია გრძელდება

რუსეთში ოფიციალურად დაიწყო პროექტ „სტალინური ანბანის" განხორციელება.

ამ პროექტის თანახმად, სტალინის დროს გამოცემული სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემა განახლდა. ახლა გამოსცემენ როგორც სკკპ (ბ) ისტორიის მოკლე კურსს, ასევე სახელმძღვანელოებს ლიტერატურასა და ისტორიაში. გამოიცემა აგრეთვე ი.ბ. სტალინის დროინდელი მწერლების ბაბაევსკის, სიმონოვის, ფადეევის, პავლენკოსა თუ სხვების ნაწარმოებები.

უდიდესი ყურადღება დაეთმობა მეორე მსოფლიო ომისადმი მიძღვნილ როგორც მხატვრულ, ისე სამეცნიერო ნაშრომებს.



– დღეს რუსეთი ალყაშია და სტალინური მემკვიდრეობა ჰაერივით გვჭირდება, – აცხადებს პროექტის ავტორი, აკადემიკოსი ფურსოვი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ერაყში კატების სასტუმრო გაიხსნა

ერაყში კატებისთვის პირველი სასტუმრო გაიხსნა. სტუდენტმა ახმედ ტახერ მაკიმ, რომელიც ვეტერინარიას სწავლობდა, საკუთარი სახლი შინაური ცხოველების სასტუმროდ გადააქცია. მისი თქმით, ეს პირველი ასეთი ფორმატის დაწესებულებაა მის ქვეყანაში.

სასტუმრო კატებისთვის ერაყის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ქალაქ ბასრაში მდებარეობს. ასეთ სასტუმროში ერთი ღამის გატარება შინაური ცხოველის პატრონს ხუთი ათასი დინარი დაუჯდება. ამ ფასში შედის კვება, საძინებელი ადგილი, სამედიცინო შემოწმება და სათამაშო მოედანი.

მაკის თქმით, ამგვარად მას სურს, ადამიანებს კატების აყვანის სურვილი გაუღვიძოს.

– ცხოველებზე ზრუნვა ადამიანებს გულს უკეთილშობილებს, – აღნიშნა სასტუმროს მეპატრონემ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ასტროპროგნოზი

## 6 აპრილისთვის



**ვერძი** – ბოლოს და ბოლოს, მოდუნებასა და დასვენებას შეძლებთ, თუმცა მხოლოდ დღის მეორე ნახევარში. **კურო** – თქვენი შრომა და მონდომება შეუმჩნეველი არ დარჩება. ზოგიერთი ადამიანის მიმართ ინტერესს კარგავთ. **ტყუპები** – საყვარელ ადამიანს ნუ გააკრიტიკებთ. ცხოვრების სტილის შეცვლა მოგიწევთ. **კირჩხიბი** – კოლეგები და ნათესავები თქვენგან მაქსიმუმს მოითხოვენ. საქმე პრიორიტეტების მიხედვით აკეთეთ. **ლომი** – მობილიზება გიჭირთ. თუ ვითარება მოითხოვს, ზოგიერთი საქმის დასრულება შეგიძლიათ სამომავლოდ გადადოთ. **ქალწული** – ნებისმიერ სიტუაციაში ვარსკვლავები გმფარველობენ. აკონტროლეთ ემოციები. **სასწორი** – მიწაზე დაეშვით. დღეს აუცილებელია ყურადღების მაქსიმალური კონცენტრირება. **ღრიანკალი** – ისეთი განცდა გაქვთ, რომ სამსახურში თქვენი შრომა სათანადოდ არ ფასდება. დაფიქრდით, სად დაუშვით შეცდომა და მის გამოსწორებაზე იზრუნეთ. **მშვილდოსანი** – ურანი და ნეპტუნი თქვენ მიმართ კეთილგანწყობილნი არიან, რის გამოც ნებისმიერ საქმეს თავს უპრობლემოდ გაართმევთ. მიენდეთ ინტუიციას. **თხის რქა** – ყოველგვარი წამოწყება გაამართლებს. პლანეტა მარსი გმფარველობთ. სიმამაცე მოიკრიბეთ და მიზანს მიაღწევთ. **მერწყული** – დღეს განსაკუთრებული არაფერი ხდება. თქვენი საქმე მშვიდად და აუჩქარებლად აკეთეთ. **თევზები** – კოლეგებთან ურთიერთობა საკმაოდ დაძაბულია. გამოიჩინეთ კეთილგონიერება და სიტუაციას ნუ გაამწვავებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ყოველდღიური, ხუთჯერადი ლოცვა არაბულ ქვეყნებში; 2. უძველესი აკადემია კახეთში; 3. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 4. მდინარე ზუგდიდში; 6. ქართული ლუდი; 8. ბალნეოლოგიური კურორტი გურჯაანის რაიონში; 11. დიდი ფართობის ნოყიერი, სახნავი მიწა; 12. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 16. შოკოლადის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 17. მკვრივი და დრეკადი იოგი, რომლითაც კუნთი მიმაგრებულია ძვალზე; 18. მონასტერი სიღნაღის რაიონში.

**თარაზულად**: 1. სირბილი, ცურვა მოკლე დისტანციებზე; 5. სანოტო ნიშანი ბგერის ნახევარტონით ასამაღლებლად; 7. ძვირფასი სარეწაო თევზი; 9. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი; 10. ასანთის ძველი ქართული სახელწოდება; 13. საჯარისო შენაერთი ძველ რომში; 14. დიდი სატრანსპორტო-სამგზავრო გემი; 15. ბრიტანული ტაქსი; 19. უნგრული ჯარის ძველი სახელწოდება; 20. ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 21. სამონასტრო კომპლექსი მცხეთის მახლობლად; 22. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კინტრიში; 2. ამბიცია; 3. კლოპი; 4. მემფისი; 5. ზოსტერა; 10. გენეტიკა; 11. დენონსაცია; 12. ალუმინი; 15. სეიდებადი; 16. ქლიავი; 17. ალილუია; 20. რამბლე.

**თარაზულად:** 6. ქინძმარაული; 7. ყეენობა; 8. ტყიბული; 9. ვერსია; 13. შალე; 14. ნეპალი; 18. ამპლიტუდა; 19. ბლუზი; 21. მახტა; 22. ფიქცია; 23. განდაგანა; 24. სტინგერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. რუზინე; 2. სინუსი; 3. ენოლოგია; 4. ალკალა; 6. თიკანაძე; 8. ოდისეა; 11. საგურამო; 12. სატურნი; 16. ტაიგა; 17. ბლიცი; 18. ბრერა.

**თარაზულად:** 1. რაფსოდი; 5. თართი; 7. ენისელი; 9. აბსურდი; 10. ბავარია; 13. ერლიფტი; 14. კალაძე; 15. ბანი; 19. დუმფარა; 20. კლაკიორი; 21. ქაფიანიძე; 22. ჯოყოლა.

# ავთო აბესლამიძე ჭორებმა დაღალა



„იქს ფაქტორის“ ერთ-ერთი სეზონის გამარჯვებული ავთო აბესლამიძე თავის პირად ცხოვრებაზე არსებულმა ჭორებმა დაღალა. მას დაუსრულებელი ცრუ ინფორმაციების გავრცელებამ გადააწყვეტინა, სოციალურ ქსელში საჯარო განცხადება გაეკეთებინა.

**ავთო აბესლამიძე:**

– არ მყავს
არც ცოლი
არც საცოლე
არც შეყვარებული
შესაბამისად, შვილიც ჯერ არ მყავს

პ.ს. დავიღალე უკვე ვაააა...

# ფილიპინელი ჯვარზე 32-ედ გაკვრის შემდეგ ტკივილებს ველარ გრძნობს

ფილიპინელმა მამაკაცმა, რომელსაც ვნების პარასკევის აღსანიშნავად ჯვარზე ყოველ წელს აკრავენ, განაცხადა, რომ ტკივილებს აღარ გრძნობს.

თეატრალიზებული ცერემონია, რომლის მონაწილეები იესოს ჯვარზე გაკვრას ასრულებენ, მანილადან 76 კილომეტრში მდებარე სოფელ სან-პედრო-კუტუდიში გაიმართა. მრავალი ტურისტის თვალწინ რომაელი ჯარისკაცების კოსტიუმებში გამოწყობილმა მსახიობებმა ხის ჯვარზე სამი ადამიანი მიაჭედეს, მათ შორის 58 წლის ფილიპინელი რუბენ ენაჯა, რომელიც ქრისტეს როლს ასრულებდა.

ენაჯა აღნიშნულ ცერემონიაში 32-ედ მონაწილეობს. ჯვარზე გაკვრის დროს მას ხელებსა და ფეხებში ხუთსანტიმეტრიან ლურსმნებს არჭობენ, რომლებიც სპირტითაა დამუშავებული.

– ადრე სახლში ჭრილობებითა და კოჭლობით ვბრუნდებოდი, წელს კი თავს შესანიშნავად ვგრძნობ, – ამტკიცებს ფილიპინელი. ის თვლის, რომ ტკივილებისგან ძლიერმა რწმენამ გაათავისუფლა, იმედი აქვს, რომ კიდევ ორ ან სამ ცერემონიას გაუძლებს და 60 წლამდე ამ საქმისთვის თავის დანებებას არ აპირებს.



# გარეული ტახები კიოტოში შეიჭრნენ და ხუთი ადამიანი დააშავეს



ორი ტახი იაპონიის ქალაქ კიოტოში შეიჭრა და ხუთი ადამიანი დააშავა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

გარეული ცხოველები ქალაქში დილით ადრე გამოჩნდნენ. თვითმხილველთა მტკიცებით, ერთ-ერთი ტახის სიგრძე დაახლოებით ერთ მეტრს შეადგენდა. მეორე ტახი, სავარაუდოდ, მისი ნაშიერი იყო.

პოლიციაში 11 საათსა და 25 წუთზე შევიდა შეტყობინება, რომ ტახი თავს დაესხა უფროსკლასელ გოგონას. ამტყდარმა პანიკამ ცხოველები შეაშინა. ისინი გაიქცნენ და ხანდაზმულთა სახლის კარი შეამტვრიეს. დაწესებულების ორმა თანამშრომელმა, 43 წლის მამაკაცმა და 35 წლის ქალმა, მათი ქუჩაში გაყრა შეძლო ისე, რომ ფეხებზე მხოლოდ მსუბუქი ნაკბენები და ნაკაწრები მიიღეს.

ამის შემდეგ ტახები თავს დაესხნენ ქუჩაში მიმავალ 81 წლის ქალს და მიწაზე წააქციეს. დაცემის დროს მან ხელის მტევანი მოიტეხა და სხვა ტრავმებიც მიიღო. შემდეგ გარეულმა ცხოველებმა დაკბინეს და დაკაწრეს პოლიციის გადამდგარი ოფიცერი, რომელიც ქალის დახმარებას ცდილობდა.

ამის შემდეგ ტახების შეჩერება ოთხი მამაკაცისგან შემდგარმა ჯგუფმა ცადა.

– მე მას ათი წუთის განმავლობაში ხის ფიცარს ვურტყამდი, მაგრამ ერთი დიუმითაც კი არ დაუხევია უკან. ეს საშინელება იყო, – განაცხადა 50 წლის დურგალმა. ამის შემდეგ ცხოველებმა ქალაქი მალევე დატოვეს.

ადგილობრივების თქმით, კიოტოში ტახების ადრე გაზაფხულზე გამოჩენა იშვიათობას აღარ წარმოადგენს. მათ იქ ბამბუკებით პირის ჩატკბარუნების შესაძლებლობა იზიდავთ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# რობერტ სტურუა: „ერთმა დაჩაგრულმა კრიტიკოსმა აგინა „ვანო და ნიკოს“

რეჟისორმა რობერტ სტურუამ რუსთაველის თეატრში ერლომ ახვლედიანის „ვანო და ნიკოს“ მიხედვით ამავე სახელწოდების სპექტაკლი დადგა.

სპექტაკლის პრემიერაზე მისული მაყურებლის ნაწილმა რობერტ სტურუას ნამუშევარი მოიწონა, ნაწილმა კი – არა.

თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილმა განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია, რატომ არის „ვანო და ნიკო“ შედევრი:

– მინდა, მივიღო პასუხი, რატომ არის რუსთაველის თეატრის ახალი სპექტაკლი „ვანო და ნიკო“ შედევრი, იმიტომ, რომ სტურუამ დადგა და მას არ შეუძლია ჩვეულებრივი სპექტაკლის დადგმა? თუ იმიტომ, რომ დიდი რეჟისორის შედევრების განახლებულ ნაწილებს ვხვდებით ახალ სპექტაკლში?

რობერტ სტურუამ ლაშა ჩხარტიშვილს მოკლედ უპასუხა:

– „იმიტომ!“ ჩემო ძვირფასო პროვინციალო, გაბოროტებულო, ვითომ ინტელექტუალო არაფერო!

მოგვიანებით რეჟისორმა „ვანო და ნიკოს“ სპეციალური აფიშა გაავრცელა, სადაც წერია:

– ერთმა დაჩაგრულმა კრიტიკოსმა აგინა „ვანო და ნიკოს“. მოდით და ნახეთ!




# ზურა პირველი: „ქართველობა სხვანაირად უნდა შენარჩუნდეს და არა უცხოელების თბილისიდან გაყრით!“



მსახიობი ზურა პირველი, რომელიც წლებია, უცხოეთში ცხოვრობს, საქართველოში უცხოელების მიმართ განვითარებულ მოვლენებს აფასებს:

– პარიზის მთავარი ქუჩის, ელისეის მინდვრების მხოლოდ 8% ეკუთვნით ფრანგებს, დანარჩენი უცხოელებისაა. ასე იყო, სანამ ლტოლვილების ტალღა გაიზრდებოდა, მაგრამ პარიზი პარიზია! ამით ფრანგულობას არ კარგავს!

საქართველო და ქართველობა, ჩემი აზრით, სხვანაირად უნდა შენარჩუნდეს და არა უცხოელების თბილისიდან გაყრით!

თუ არაქართველების გაკეთებული არაფერი გინდათ, მაშინ დაანგრიეთ თბილისი, ნახევარზე მეტი არაქართველების აშენებულია!

რაც ბოლო წლებში შენდებოდა, გლდანი და ვერა რომ დაემსგავსა ერთმანეთს, სწორედ ესაა ქართველების აშენებული!

ნელ-ნელა იწყება დუღილი საქართველოში უცხოელების მომრავლებაზე... ალბათ მალე აგორდება და დაიწყება გამოსვლები, მიტინგები და უცხოელების დისკრიმინაცია და შევიწროება...

...და, რაც მნიშვნელოვანია, ის, ტრადიციულად, ისევ გვერდზე დარჩება...

ეს მხოლოდ ჩემი აზრია და არ ვამტკიცებ, რომ ერთადერთი ჭეშმარიტებაა, ამიტომ, ნუ ჩამქოლავთ!

# ხულოს თეატრში სპექტაკლს 5 რეჟისორი დგამს

ხულოს იუსუფ ზოიძის სახელობის დრამატული თეატრი ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე პროფესიული თეატრია მსოფლიოში.

6 აპრილს ხულოს თეატრში საერთაშორისო თეატრალური პროექტი განხორციელდება. პროექტის ფარგლებში 5 რეჟისორი 5 სხვადასხვა ქვეყნიდან – ირაკლი გოგია და ოთო ქათამაძე საქართველოდან, მაქსიმ კოზოლუპი უკრაინიდან, ირადა გოზალოვა აზერბაიჯანიდან, რომან შიდლოვსკი ბელორუსიდან თურქი დრამატურგის თუნჯერ ჯუჯენოღლუს პიესა „ზვავს“ დადგამენ.

თუნჯერ ჯუჯენოღლუ მსოფლიოში ცნობილი დრამატურგი და მრავალი საერთაშორისო ლიტერატურული პრემიის ლაურეატია. ის თავად ჩამოვიდა საქართველოში და ხულოში სარეპეტიციო პროცესებს ესწრება.

პიესა „ზვავი“ მთაში მცხოვრებ ადამიანთა შესახებ მოგვითხრობს. მათ ლაპარაკის ეშინიათ, წელიწადის განმავლობაში მხოლოდ სამი თვე აქვთ ხმამაღლა საუბრის უფლება, დანარჩენს დროს ეშინიათ, მთის წვერზე მდებარე ზვავი დაიძვრება, თუ ახმაურდებიან, ასე უთხრეს... სიჩუმე მეტაფორაა და ხმის ამოღება, შეწინააღმდეგება ადათ-წესებისა და კანონების წინაშე – სასტიკი დანაშაული. იმას, ვინც კანონებს წინ აღუდგება, მთა შერისხავს, ზვავი დაიძვრება...

რატომ ხულოში? იმიტომ, რომ ხულო ერთ-ერთი მაღალი და მჭიდროდ დასახლებული რაიონია საქართველოში. მთა არ უნდა დაიცალოს, მთის ხელშეწყობის მიზნით მსგავსი სახის ბევრი პროექტი უნდა განხორციელდეს, ამიტომ ხულოს პროფესიულ თეატრში საერთაშორისო აქტივობების განხორციელება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

# უშიშარმა ინგლისელმა ვაშინგტონის ელიტური ბარები შეაშინა



ვაშინგტონში მეშვიდედ დააპატიმრეს ბრიტანელი, რომელიც ერთი თვის განმავლობაში ყველაზე ძვირადღირებულ სასტუმროებში ჩერდებოდა და ქალაქის საუკეთესო რესტორნებში სადილობდა ისე, რომ ანგარიშის მიხედვით ერთხელაც არ გადაუხდია ფული.

21 წლის ნიკ კუპერი მას შემდეგ იქნა დაკავებული, როდესაც ვაშინგტონის ერთ-ერთ ელიტურ ბარში 34-წლიანი დაძველების ირლანდიური 1,2 ათასი დოლარის ღირებულების ვისკი შეუკვეთა. ახალგაზრდამ შეკვეთის გაფორმება გამოგონილ სახელზე გააფორმა, რის შემდეგაც მიიმალა, თუმცა მისი დაკავება მაინც მოხერხდა. პოლიციის ინფორმაციით, ჩვეულებრივ, ამ სასმელს სეიფში ინახავენ.

მანამდე კუპერმა ასევე ისადილა სასტუმრო „უილარდ ინტერკონტინენტალში“, შეერთებული შტატების ერთ-ერთ ყველაზე მდიდრულ სასტუმროში. კიდევ უფრო ადრე ბრიტანელმა სასტუმრო „რიტც-კარლტონის“ რესტორანში გრილზე მომზადებული რვაფეხა, ბატკნის კარე, კაბერნე-სოვინიონის 156 დოლარის ღირებულების ბოთლი ღვინო და 100-დოლარიანი „მოეტ იმპერიალი“ შეუკვეთა, რის შემდეგაც რესტორანი ისევ თანხის გადაუხდელად დატოვა.

გარდა ამისა, პოლიციამ კუპერი რამდენჯერმე სასტუმროების საუკეთესო ნომრებში უგონო მდგომარეობაში, ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფი ნახა.

მისი ფოტოსურათები ვაშინგტონის საუკეთესო დაწესებულებების ბარმენებს დაურიგდათ, რათა მისთვის მომსახურებაზე უარი ეთქვათ. ამ დროისთვის ბრიტანელი დაკავებულია, ადვოკატი კი მის უდანაშაულობას ამტკიცებს.

# ლიზა ბათიაშვილი ნობელის პრემიის დაჯილდოებაზე დაუკრავს



ქართველი მევიოლინე ლიზა ბათიაშვილი ნობელის პრემიის დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე დაუკრავს. მევიოლინე მსმენელის წინაშე სტოკჰოლმის სამეფო ფილარმონიულ ორკესტრთან ერთად წარდგება. ორკესტრს კარინა კანელაკისი უდირიჟორებს. ეს იქნება პირველი შემთხვევა, როდესაც ნობელის პრემიის კონცერტს ქალი უდირიჟორებს.

ნობელის პრემიის კონცერტი ლიზა ბათიაშვილის მონაწილეობით 8 დეკემბერს გაიმართება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# სამგლოვიარო განცხადებები

დალი, ნანა, შალვა, პეტრე ბერაიები, რძალი ლიკა გაგნიძე მწუხარებით იუწყებიან ოლიკო და ბიძინა სონღულაშვილების ოჯახის დიდ მწუხარებას

**თამაზ სონღულაშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

6 აპრილისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3912

ევრო — 2.9364

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.356

100 რუსული რუბლი — 4.1333

## ამინდის პროგნოზი 6 აპრილისთვის





5 აპრილიდან
150 ამბავი
ნობელიანტი ფიზიკოსები
ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



22 მარტიდან
180 ამბავი
ილია ჭავჭავაძე
ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



29 მარტიდან
ავთანდილ ბუხრაშვილი
მყუდრო აგარაკის საიდუმლოება
ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი



28 მარტიდან
130 ამბავი
ლუდი
ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



3 აპრილიდან
79 ამბავი
ზვიად გამსახურდია
ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი




## იუმორი

ზღვაზე მაშველს ჟურნალისტი ეკითხება:

– რა არის ყველაზე ცუდი თქვენს სამსახურში?

– როდესაც მამაკაცი იხრჩობა.

– და რატომ?

– თუ არ გადაარჩენ დაიხრჩობა, ხოლო როდესაც წყლიდან ამოიყვან და ხელოვნურ სუნთქვას უტარებ, გირტყამენ...

•••

მოსამართლე ქალს ეკითხება:

– მოგვახსენეთ, რაში მდგომარეობს თქვენი საჩივრის არსი?

– ბატონო მოსამართლევ, მან საწოლში შემათრია და სასტიკი შეურაცხყოფა მომაყენა.

– თავისი მოქმედებით?

– არა, უმოქმედობით...

•••

ბორტგამცილებელი პილოტების კაბინაში შედის და კაპიტანს ეუბნება:

– ბატონო კაპიტანო, თვითმფრინავი სომეხმა ტერორისტებმა ჩაიგდეს ხელში!

– და რატომ გგონიათ, რომ სომხები არიან? თვითონ გითხრეს?

– არა, უბრალოდ, მგზავრებზე პარაშუტებს ყიდიან!

•••

დირექტორი თანამშრომელს ეუბნება:

– ისევ დაიგვიანე სამსახურში! ამჯერად რა მიზეზით?

– მაღვიძარა გამიფუჭდა.

– ისევ მაღვიძარა. რა, რაიმე ახალი არ შეგიძლია მოიფიქრო?

– ჩემი ხელფასის პატრონისთვის მაღვიძარაც საკმარისია.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ბიჭო, გარდაცვლილი ცოლის და ცოლად რამ მოგაყვანინა?

– ახალ სიდედრთან შეგუებას, ისევ ძველი მირჩევნია.

•••

შვილი დედას ურეკავს და ეუბნება:

– დედიკო, ქმარმა მაწყენინა და შენთან მოვდივარ.

– არა, შვილო, ის სასჯელს იმსახურებს, მე მოვდივარ შენთან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სალაჰმა მანჩესტერ სიტისთან მცირე ტრავმა მიიღო



მოჰამედ სალაჰმა მანჩესტერ სიტის წინააღმდეგ შეხვედრაში ტრავმა მიიღო და ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენ ხანს ვერ შეძლებს ის მოედანზე გასვლას.

სალაჰმა მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ის მალე მზად იქნება სათამაშოდ, მაგრამ, კლოპის თქმით, საჭიროა, ბოლომდე გამოიკვლიონ ტრავმის სირთულე და შემდეგ გააკეთონ დასკვნები.

მოჰამედ სალაჰი წელს ლივერპულის ნამდვილი ლიდერია და მის ანგარიშზე 34 გატანილი გოლია. ეგვიპტელმა ფორვარდმა თავი მანჩესტერ სიტის წინააღმდეგაც გამოიჩინა და თავის გუნდს გამარჯვებაში დაეხმარა. საბოლოოდ ლივერპულმა 3:0 მოიგო.

## ედინ ჯეკო: „მსაჯს პენალტი უნდა დაენიშნა“



რომას ფორვარდმა ედინ ჯეკომ განაცხადა რომ ბარსელონასთან მატჩში მსაჯს კატალონიელთა კარში პენალტი უნდა დაენიშნა. ერთ-ერთ ეპიზოდში, ჯეკოს აზრით, ის ნელსონ სემედომ საჯარიმოში წააქცია.

– ვფიქრობ, მსაჯს პენალტი უნდა დაენიშნა, მაგრამ ასე არ მოხდა. 4:1 ძალიან ცუდი შედეგია და თითქმის შანსს არ გვიტოვებს, ამიტომ იტალიის ჩემპიონატზე უნდა გადავერთოთ, – განაცხადა ედინ ჯეკომ.



## კევინ დე ბრუინი: „ლივერპულთან არაფერი გამოგვივიდა“

მანჩესტერ სიტის ბელგიელმა ფეხბურთელმა კევინ დე ბრუინმა ლივერპულთან მარცხის შემდეგ განაცხადა, რომ მისი გუნდი არ გამოიყურებოდა კარგად და მატჩი ლოგიკური შედეგით დასრულდა.

– არ მესმის, რატომ მოხდა ასე, მაგრამ ლივერპულმა ყველაფერში გვაჯობა. მეორე ტაიმში თითქოს გამოვასწორეთ თამაში, თუმცა სახეირო ვერაფერი შევქმენით. ლივერპული ძლიერი გუნდია და მათ ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცეს. განმეორებით შეხვედრაში ბოლომდე ვიბრძოლებთ, – განაცხადა დე ბრუინმა.

განმეორებითი მატჩი 10 აპრილს გაიმართება.

## ნიკო კოვაჩი შესაძლოა მომავალ სეზონში ბაიერნის მწვრთნელი გახდეს



ბაიერნის მთავარი მწვრთნელი მომავალ წელს შესაძლოა ნიკო კოვაჩი გახდეს, რომელიც ამჟამად აინტრახტის თავკაცია.

იუპ ჰაინკესმა განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს ბაიერნს დატოვებს, რადგან დასვენება სურს, ამიტომ ბაიერნის ხელმძღვანელობა აქტიურად ეძებს მის შემცვლელს.

ნიკო კოვაჩი 2001-03 წლებში ბაიერნში თამაშობდა და კარგად იცნობს ჰასან სალიჰამიჯიჩს, რომელიც ამჟამად ბაიერნის სპორტული დირექტორია.

ბაიერნი ამ ინფორმაციას არც ადასტურებს და არც უარყოფს, ამიტომ სეზონის ბოლოს უფრო მეტი რამ გახდება ცნობილი.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. ბგერის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 2. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი გერმანული ფირმა; 3. ფრანგული კომედიური თეატრის მთავარი პერსონაჟი; 4. ირანის პარლამენტი; 5. ქალის სასიმღერო ხმა; 10. მეფეთა რეზიდენცია მადრიდში; 11. კბილის ამოღების ოპერაცია; 12. ტროპიკული ხილი; 15. „შუშანიკის წამების“ ავტორი; 16. ბეღურასნაირთა ოჯახის ფრინველი; 17. წყალზე მცურავი ყვავილოვანი მცენარე; 20. ძილის მომგვრელი საშუალება.

**თარაზულად**: 6. ჟურნალისტთა ოფიციალური დაშვება რამე ღონისძიებაზე; 7. თავად-აზნაურთა ტიტული ევროპაში; 8. შოტლანდიელთა მეორე სახელწოდება; 9. ინფექციურ დაავადებათა გამომწვევი მიკროორგანიზმი; 13. ლობიოს მსგავსი პარკოსანი მცენარე; 14. ოქროქსოვილის ძველი ქართული სახელწოდება; 18. საერთაშორისო სისხლის სამართლის სამძებრო პოლიცია; 19. მანძილის საზომი ერთეული საფრანგეთში; 21. ჰოლანდიური ყველი; 22. სიტყვების წარმოთქმის მანერა; 23. სატრფოსადმი მიძღვნილი პატარა, ლირიკული ლექსი სალონურ პოეზიაში; 24. შტატი აშშ-ში.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*